

სარჩევი

1. მინისტრის წინასიტყვაობა	12
2. შინაგან საქმეთა სამინისტროს მისია.....	14
3. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის პრინციპები	15
3.1. კანონიერება	15
3.2. ჰუმანურობა	15
3.3. სამართლიანობა.....	15
3.4. გამჭვირვალობა	16
4. შსს-ს 2013 წლის პრიორიტეტები	17
4.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის რეფორმა	17
4.1.1. სამინისტროს დეპოლიტიზება	17
4.1.2. სამინისტროს რესტრუქტურირება	17
4.1.3. რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს შექმნა.....	18
4.1.4. გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება	18
4.1.5. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბება	19
4.1.6. ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დანერგვა; სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა	20
4.1.7. წესებისა და პროცედურების ინსტიტუციონალიზაცია.....	21
4.1.8. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება.....	21
4.1.9. სამინისტროს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა	22
4.1.9.1. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა... 22	
4.1.9.2. გენდერული თანასწორობა სამინისტროს სისტემაში.....	23
4.1.10. ადამიანის უფლებების დაცვა	24
4.1.10.1. პოლიციის საქმიანობა და ადამიანის უფლებები	24
4.1.10.2. ადამიანის უფლებათა დაცვა დროებითი მოთავსების ობოლატორებში (დმი).....	25
4.1.10.2.1. მონიტორინგის გაძლიერება	25
4.1.10.2.2. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.....	26
4.1.10.2.3. ადამიანური რესურსები	26

4.1.10.2.4. ნორმატიული ბაზის დახვეწა	26
4.1.10.2.5. ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება	27
4.1.11. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება	27
4.2. საზოგადოებრივი მართლწესრიგი და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	28
4.2.1. გამოწვევები	28
4.2.1.1. არასრულწლოვანთა ჩართულობა დანაშაულებრივ საქმიანობაში	28
4.2.1.2. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გახსნის დაბალი პროცენტული მაჩვენებელი	28
4.2.1.3. ოჯახური, მათ შორის, ქალისა და არასრულწლოვან პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობა	29
4.2.1.4. ნარკოტიკული დანაშაული	29
4.2.1.5. საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა	29
4.2.1.6. შსს–ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა .	29
4.2.1.7. შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ–ტექნიკური საშუალებების განახლების აუცილებლობა	30
4.2.2. 2013 წლის პრიორიტეტები	30
4.2.2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია	30
4.2.2.2. დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	31
4.2.2.3. საზოგადოებასთან ინტენსიური ურთიერთობების მექანიზმების შემუშავება	31
4.2.2.4. საზოგადოებაში საპატრულო პოლიციის ხილვადობის გაზრდა	31
4.2.2.5. პოლიციის საქმიანობაში ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰუმანურობის პრინციპების დამკვიდრება	31
4.2.2.6. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა	32
4.2.2.7. შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	32
4.2.2.8. პოლიციის ქვედანაყოფების მატერიალურ–ტექნიკური საშუალებების მოდერნიზაცია	32
4.3. საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	33
4.3.1. გამოწვევები	33

4.3.1.1. საზოგადოების მიერ ავტოსაგზაო უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფა	33
4.3.1.2. გზის სახიფათო მონაკვეთებზე უსაფრთხოების არასაკმარისი ზომები	33
4.3.1.3. საპატრულო ეკიპაჟებისა და თანამედროვე აღჭურვილობის ნაკლებობა	33
4.3.1.4. საგზაო მოძრაობის მართვის ავტომატიზებული სისტემების ნაკლებობა	34
4.3.2. 2013 წლის პრიორიტეტები	34
4.3.2.1. საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	34
4.3.2.2. საგზაო უსაფრთხოების სისტემების დანერგვა/მოდერნიზაცია..	34
4.3.2.3. საპატრულო პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება.....	35
4.3.2.4. ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკის წარმოება	35
4.4. სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.....	36
4.4.1. გამოწვევები	37
4.4.1.1. დაუდგენელი საზღვრები	37
4.4.1.2. სასაზღვრო სექტორების ინფრასტრუქტურის გაუმართაობა.....	38
4.4.1.3. საზღვრის დაცვის საინჟინრო-ტექნიკური მოწყობა.....	38
4.4.1.4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაცია	38
4.4.1.5. მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტური კერების არსებობა	38
4.4.1.6. საქართველოს საზღვაო სივრცეში არსებული საფრთხეები	38
4.4.1.7. ნარკოტიკული ნივთიერებების და იარაღის უკანონო გადატანის რისკი	38
4.4.1.8. სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთების რთული რელიეფი	39
4.4.1.9. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფები.....	39
4.4.1.10. სატრანსპორტო და მგზავრთა ნაკადის ზრდა.....	39
4.4.2. 2013 წლის პრიორიტეტები	39
4.4.2.1. სასაზღვრო გამტარი პუნქტების ფუნქციონირების გაუმჯობესება	39
4.4.2.2. სტანდარტული სამოქმედო პროცედურების განახლება	39

4.4.2.3. კონტროლის სისტემის ელექტრონიზაცია.....	40
4.4.2.4. სახმელეთო საზღვრის უსაფრთხოების გაუმჯობესება.....	40
4.4.2.5. დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში აქტიური მონაწილეობა	40
4.4.2.6. სექტორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.....	41
4.4.2.7. რადიოკავშირის სისტემის მოდერნიზაცია	41
4.4.2.8. სანაპირო დაცვის შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება.	41
4.4.2.9. საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის შექმნის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	41
4.4.2.10. სარემონტო შესაძლებლობების განვითარება.....	42
4.4.2.11. პირადი შემადგენლობის მომზადება/გადამზადება.....	42
4.5. საგანგებო სიტუაციების პრევენცია და ეფექტიანი მართვა.....	43
4.5.1. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების პრევენცია და ეფექტიანი მართვა	43
4.5.1.1. გამოწვევები	44
4.5.1.1.1. ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუარესება	44
4.5.1.1.2. ტექნოგენური კატასტროფების საშიშროება.....	44
4.5.1.1.3. ადილობრივ დონეზე რეაგირების შესაძლებლობების არასათანადო განვითარება და საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი	44
4.5.1.1.4. მატერიალურ–ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების აუცილებლობა	44
4.5.1.1.5. შესაბამისი ნორმატიული აქტების დახვეწის აუცილებლობა	45
4.5.1.2. 2013 წლის პრიორიტეტები	45
4.5.1.2.1. რისკის რუკების განვითარება	45
4.5.1.2.2. პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება	45
4.5.1.2.3. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება არსებული რისკების, პრევენციისა და რეაგირების შესახებ.....	46
4.5.1.2.4. სამოქალაქო თავდაცვისა და კატასტროფების მართვის სფეროში კანონმდებლობის დახვეწა	46
4.5.2. ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება.....	47

4.5.2.1. გამოწვევები	48
4.5.2.1.1. რეგიონში არსებული მაღალი საფრთხის შემცველი ობიექტები	48
4.5.2.1.2. რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ტრანზიტი	48
4.5.2.1.3. ბიოუსაფრთხოება	48
4.5.2.1.4. ქბრბ სფეროში ერთიანი მიდგომის არარსებობა	48
4.5.2.2. 2013 წლის პრიორიტეტები	48
4.5.2.2.1. უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება	48
4.5.2.2.2. ქბრბ სტრატეგიის შემუშავება	49
4.5.2.2.3. ქბრბ სამდივნოს დაფუძნება	49
4.5.2.2.4. პასუხისმგებელ უწყებებთან ურთიერთქმედების მექანიზმების გაუმჯობესება	49
4.5.2.2.5. სამართლებრივი ბაზის დახვეწა	50
4.6. მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა	51
4.6.1. გამოწვევები	52
4.6.1.1. მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა	52
4.6.1.2. მიგრაციის ნაკადების მონიტორინგის უწყებათშორისი ერთიანი სისტემის არარსებობა	52
4.6.1.3. არალეგალური მიგრანტების დაკავებისა და დეპორტაციის ქმედითი მექანიზმების არარსებობა	52
4.6.1.4. რეადმისიას დაქვემდებარებულ პირთა განთავსების ცენტრის არარსებობა.....	53
4.6.2. 2013 წლის პრიორიტეტები	53
4.6.2.1. არალეგალური მიგრაციის პრევენცია	53
4.6.2.1.1. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება	53
4.6.2.1.2. მიგრაციის მართვის სფეროში შსს–ს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება.....	53
4.6.2.2. არალეგალური მიგრაციის აღკვეთა	54
4.6.2.2.1. არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის და დაბრუნების მექანიზმის შემუშავება და შესაბამისი სამსახურის ჩამოყალიბება	54
4.6.2.2.2. მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა	54

4.6.2.2.3. ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგისა და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება	54
4.6.2.2.4. რეადმისიის შეთანხმებებისა და მათი საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმება.....	54
4.7. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა	55
4.7.1. გამოწვევები	55
4.7.1.1. საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა	55
4.7.1.2. ნარკოტიკების უკანონო შემოტანაზე კონტროლის მექანიზმების შენარჩუნება	56
4.7.1.3. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირთა შესახებ მონაცემთა დაუხვეწავი ბაზა	56
4.7.2. 2013 წლის პრიორიტეტები	56
4.7.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.....	56
4.7.2.2. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირთა შესახებ მონაცემთა ბაზის დახვეწა.....	57
4.7.2.3. ნარკოტიკული ნივთიერებების არალეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის ეფექტური გამოვლენა და აღკვეთა.....	57
4.7.2.4. ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური ბრუნვის შემცირება	57
4.7.2.5. სამთავრობო უწყებებს შორის ეფექტური კოორდინაცია და თანამშრომლობა	57
4.7.2.6. ნარკომანიასთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაგრძელება და გაღრმავება	57
4.7.2.7. საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა	58
4.8. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა	59
4.8.1. გამოწვევები	60
4.8.1.1. ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადგილმდებარეობის დადგენის მექანიზმების არასრულფასოვნება.....	60
4.8.1.2. ტრეფიკინგის მსხვერპლთა სათანადო ინფორმირებულობის აუცილებლობა.....	60
4.8.1.3. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოძიების მექანიზმის დახვეწის საჭიროება.....	60

4.8.1.4. საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა	61
4.8.2. 2013 წლის პრიორიტეტები	61
4.8.2.1. პრევენციული ზომების გაუმჯობესება	61
4.8.2.2. შსს–ს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება.....	61
4.8.2.3. გამოძიების მექანიზმების დახვეწა დანაშაულის თანამედროვე ტენდენციების საპასუხოდ.....	61
4.8.2.4. ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება	62
4.9. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.....	63
4.9.1. გამოწვევები	64
4.9.1.1. „ელიტური კორუფცია“.....	64
4.9.1.2. საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის არასაკმარისი კვალიფიკაცია	64
4.9.2. 2013 წლის პრიორიტეტები	64
4.9.2.1. კანონმდებლობის დახვეწაში მონაწილეობა.....	64
4.9.2.2. კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებაში მონაწილეობა	65
4.9.2.3. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შსს–ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.....	65
4.9.2.4. პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება	65
4.9.2.5. შსს–ს ანტიკორუფციული საქმიანობის გამჭვირვალობა	65
4.10. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა	66
4.10.1. გამოწვევები	67
4.10.1.1. ოკუპირებული ტერიტორიები.....	67
4.10.1.2. იარაღის უკანონო შემოდინების, გავრცელებისა და ტრანზიტის საშიშროება.....	67
4.10.2. 2013 წლის პრიორიტეტები	67
4.10.2.1. საზღვრების უსაფრთხოების განმტკიცება.....	67
4.10.2.2. შსს–ს კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაძლიერება .	67
4.10.2.3. თანამშრომლობის გაღრმავება რეგიონულ, ორმხრივ და საერთაშორისო დონეზე	68

4.10.2.4. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობა	68
4.11. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა	69
4.11.1. გამოწვევები	70
4.11.1.1. საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი	70
4.11.1.2. ინფორმაციული სისტემების დაუცველობა.....	70
4.11.1.3. სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა.....	70
4.11.2. 2013 წლის პრიორიტეტები	71
4.11.2.1. კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში კოორდინაციის გაუმჯობესება.....	71
4.11.2.2. შსს-ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	71
4.11.2.3. ციფრული მტკიცებულებების საექსპერტო კვლევის განმახორციელებელი დანაყოფის შექმნა.....	71
4.11.2.4. კიბერუსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება	71
4.11.2.5. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა	72
4.12. ხარისხიანი მომსახურების გაწევა.....	73
4.12.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მომსახურების სააგენტო	73
4.12.1.1. გამოწვევა: მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება	73
4.12.1.2. 2013 წლის პრიორიტეტები	74
4.12.1.2.1. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.....	74
4.12.1.2.2. ეროვნული მართვის მოწმობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.....	74
4.12.1.2.3. ეროვნული რეგისტრაციის მოწმობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.....	74
4.12.1.2.4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურება	74
4.12.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“	75
4.12.2.1. გამოწვევები.....	75
4.12.2.1.1. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მდგრადი სარეზერვო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა.....	75

4.12.2.1.2. ინიციატორის ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობა	76
4.12.2.1.3. სისტემის ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის	76
4.12.2.1.4. ერთიანი საგანგებო ნომრის „112“-ის არასაკმარისი ცნობადობა	76
4.12.2.1.5. არასაგანგებო ხასიათის ზარების დიდი რაოდენობა.....	76
4.12.2.1.6. კვალიფიციური კადრების შენარჩუნება	76
4.12.2.2. 2013 წლის პრიორიტეტები	76
4.12.2.2.1. სისტემის მდგრადობის გაზრდა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	77
4.12.2.2.2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და არასაგანგებო ხასიათის ზარების რაოდენობის შემცირება	77
4.12.2.2.3. მომსახურების ხარისხის გაზრდა	77
4.12.3. დაცვის პოლიცია	78
4.12.3.1. გამოწვევები	78
4.12.3.1.1. გაზრდილი მოთხოვნა მომსახურებაზე.....	78
4.12.3.1.2. შესაძლებლობების გაუმჯობესება	78
4.12.3.2. 2013 წლის პრიორიტეტები	78
4.12.3.2.1. კვლევების ჩატარება საზოგადოების საჭიროებების განსაზღვრისთვის.....	78
4.12.3.2.2. მომსახურების დივერსიფიკაცია და ხარისხის გაუმჯობესება	79
4.12.3.2.3. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.....	79
4.12.3.2.4. დაცვის პოლიციის ცნობადობის გაზრდა	79
4.13. საქართველოს შსს-ს აკადემიის შესაძლებლობების განვითარება	80
4.13.1. გამოწვევები	81
4.13.1.1. პროფესიული პროგრამების შესაბამისობა და ხანგრძლივობა ..	81
4.13.1.2. აკადემიის სწავლების შეზღუდული შესაძლებლობები	81
4.13.1.3. არსებული შეფასების სისტემის არაადეკვატურობა	82
4.13.1.4. დასახვეწი ერთიანი მონაცემთა ბაზა	82
4.13.1.5. საკადრო საკითხები.....	82

4.13.1.6. გასაუმჯობესებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.....	82
4.13.2. 2013 წლის პრიორიტეტები	82
4.13.2.1. სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადამუშავება.....	82
4.13.2.2. შეფასების ერთიანი სისტემის შემუშავება	83
4.13.2.3. მსმენელთა აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული ბაზის შემუშავება.....	83
4.13.2.4. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება.....	83
4.13.2.5. მობილური ტრენინგ ჯგუფების ჩამოყალიბება.....	83
4.13.2.6. მეხანძრე-მაშველ სპეციალისტთა მოზიდვა	83
4.13.2.7. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	83
4.13.2.8. პოლიციის მოდელირებული განყოფილების შექმნა	84
4.14. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება	85
4.14.1. 2013 წლის პრიორიტეტები	86
4.14.1.1. ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება	86
4.14.1.1.1. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, შსს-ს კომპეტენციაში შემავალი ვალდებულებების შესრულება	87
4.14.1.1.2. ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.....	87
4.14.1.1.3. ევროკავშირთან სავიზო დიალოგის ფარგლებში შსს-ს კომპეტენციაში შემავალი საკითხების კოორდინაცია	87
4.14.1.1.4. აღმოსავლეთ პარტნიორობის „საგზაო რუკებით“ აღებული ვალდებულებების შესრულება	87
4.14.1.1.5. ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებთან თანამშრომლობის გაღრმავება	88
4.14.1.2. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავება	88
4.14.1.3. თანამშრომლობის გაღრმავება აშშ-ს შესაბამის სტრუქტურებთან ..	88
4.14.1.3.1. აშშ-სთან სამართალდამცავ სფეროში დადებული შეთანხმებების იმპლემენტაცია	88
4.14.1.3.2. თანამშრომლობის გაგრძელება სამართალდამცავ სფეროში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში.....	89
4.14.1.4. საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაღრმავება..	89

4.14.1.4.1. საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება.....	89
4.14.1.4.2. რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება.....	90
4.14.1.4.3. ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება.....	90
4.14.1.5. გამოცდილების გაზიარება	91
4.14.1.6. დონორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან კოორდინაციის გაგრძელება.....	91
5. დასკვნითი დებულებები.....	92



1. მინისტრის წინასიტყვაობა

ნებისმიერ სფეროში საჭიროებების დადგენა, მიზნების განსაზღვრა და შედეგის ეფექტიანი მიღწევის ოპტიმალური საშუალებების შემუშავება, წარმატების საუკეთესო წინაპირობაა. სამწუხაროდ, დღემდე შსს-ს სისტემაში საქმიანობა ერთიანი სტრატეგიის გარეშე ხორციელდებოდა, რაც უარყოფითად აისახებოდა რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და საბოლოო შედეგზე.

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე, ვაცნობიერებთ რა სისტემაში სტრატეგიული დაგეგმვის ინსტიტუციონალიზაციის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, პირველი ნაბიჯი სწორედ ამ მიმართულებით გადავდგით, როდესაც ჩამოვყალიბებთ რეფორმებისა და განვითარების სააგენტო. სააგენტოს მთავარი ფუნქცია არის უწყების მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება. აღნიშნული სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში, შსს-ს ცალკეული ქვედანაყოფების აქტიურ მონაწილეობასთან ერთად, ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების, პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა სამინისტროს სახელით დიდი მადლიერება გამოვხატო თითოეული მათგანის მიმართ მხარდაჭერისთვის.

წარმოდგენილი სტრატეგია არის იმის გათვითცნობიერება, თუ სად გვაქვს სისტემის ფარგლებში ნაკლოვანებები და რა კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი

ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ინსტიტუციური ცვლილება გარკვეულ დროს მოითხოვს და საზოგადოების საჭიროებების პარალელურად ვითარდება. წინამდებარე სტრატეგია წარმოადგენს პირველ ნაბიჯს სრულყოფისკენ სწრაფვის ხანგრძლივ და უწყვეტ პროცესში. ამ დოკუმენტის ძირითადი დანიშნულებაა, შეიმუშავოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის ისეთი გეგმა, რომლის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება მოქალაქეთა მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოში ცხოვრება, მათი უფლებების დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისი დაცვა.

2. შინაგან საქმეთა სამინისტროს მისია

შსს-ს მისიაა უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობას მიაწოდოს ისეთი ხარისხის მომსახურება, რომ თითოეულ ადამიანს ჰქონდეს უსაფრთხოების მაღალი განცდა, საკუთარი ღირსებისა და ძირითადი უფლებების მაქსიმალური დაცულობის პირობები.

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის პრინციპები

3.1. კანონიერება

კანონის უზენაესობა სამართლებრივი სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპია. დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, პოლიციელი უპირველესად კანონიერების პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს. სამინისტროს ერთ–ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობა განხორციელდეს მხოლოდ კონსტიტუციით, კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ ფარგლებში. არცერთი ადამიანი ან ორგანო არ უნდა იდგეს კანონზე მაღლა. ნებისმიერი პოლიციელი და მაღალჩინოსანი პასუხისმგებელი იქნება სასამართლოს წინაშე, თუკი რომელიმე მათგანი დაარღვევს კანონით დადგენილ წესებს.

3.2. ჰუმანურობა

თანამედროვე სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის უმთავრეს პრინციპს ჰუმანურობა წარმოადგენს. შსს–ს ძალისხმევა სწორედ ადამიანის წამების, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრისკენ იქნება მიმართული. პოლიცია საზოგადოების ნდობისა და პატივისცემის დამსახურებას მხოლოდ ეთიკური და ჰუმანური მოპყრობით შეძლებს.

3.3. სამართლიანობა

კანონის აღსრულების დროს, პოლიცია ნებისმიერ პირს უნდა მოექცეს მიუკერძოებლად და ობიექტურად. მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად პოლიციელი ვალდებულია შეარჩიოს ისეთი ღონისძიება, რომელიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავს ადამიანის უფლებებს და ამით პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპს იცავს. მკაცრ ზომებს პოლიციელი იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც სხვაგვარად შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა. პოლიციელის მიერ თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით კანონის აღსრულება სამართლიანობის განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

3.4. გამჭვირვალობა

პოლიციის საქმიანობა უნდა იყოს საჯარო და გამჭვირვალე. ყველა პირს უნდა მიეცეს კანონით გათვალისწინებული უფლების განხორციელების საშუალება – გაეცნოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაცულ საჯარო ინფორმაციას. დახურული სისტემა საზოგადოებაში ძალადობისა და უკანონობის შეგრძნებას იწვევს. შესაბამისად, შსს აქტიურ ნაბიჯებს გადადგამს მიმდინარე პროცესებში საზოგადოების ინფორმირების, ჩართვისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით.

4. შსს-ს 2013 წლის პრიორიტეტები

4.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის რეფორმა

4.1.1. სამინისტროს დეპოლიტიზება

ბოლო წლების განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. შესაბამისად, საზოგადოებას გარკვეული ნდობაც გაუჩნდა პოლიციის მიმართ. მიუხედავად ამისა, მთავარ პრობლემად პოლიციისა და უშიშროების სამსახურების პოლიტიზება რჩებოდა. ძალოვანი სტრუქტურები ერთპიროვნულ მმართველობას წარმოადგენდნენ. ხელისუფლებას ნებისმიერ დროს შეეძლო მათი გამოყენება, ძალაუფლების გახანგრძლივების, მოქალაქეებზე და სასამართლო სისტემაზე ზეწოლის, აგრეთვე პოლიტიკური ოპონენტების დევნის მიზნით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის უმთავრეს ამოცანას სამინისტროს დეპოლიტიზება წარმოადგენს, რაც დემოკრატიული სისტემის საფუძველია და პოლიტიზებული ძალოვანი სტრუქტურების ნაცვლად, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართალდამცავი სტრუქტურების შექმნას ითვალისწინებს. შესაბამისად, შსს ჩამოყალიბდება საზოგადოებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციად, რომლის ძირითადი მიზანი იქნება მოქალაქის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა. პოლიცია თავის საქმიანობას განახორციელებს კანონის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით. ყოველივე ამის მიღწევა მხოლოდ დეპოლიტიზების პირობებშია შესაძლებელი.

4.1.2. სამინისტროს რესტრუქტურირება

შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპოლიტიზებისა და გაუმჯობესებული ფუნქციონირებისათვის, 2012 წლის ნოემბრიდან უწყებაში მნიშვნელოვანი რესტრუქტურირება განხორციელდა. გაუქმდა კონსტიტუციური უსაფრთხოების (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტები (სოდ-ი).

სწორედ კუდ-ი წარმოადგენდა მმართველი გუნდის მიერ ოპონენტების მიზანმიმართული შევიწროების და დევნის მთავარ საშუალებას. მასში აღრეული იყო პოლიციისა და უშიშროების ფუნქციები, მას არ გააჩნდა საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები (შესაბამისი დებულება) და წარმოადგენდა სრულიად უკონტროლო სტრუქტურას. მის ნაცვლად შეიქმნა ანტიკორუფციული და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები.

ანტიკორუფციული სააგენტო ახორციელებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის გამოვლენას, სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო უზრუნველყოფს ქვეყნის საფრთხეების პროგნოზირებას, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამოვლენასა და აღკვეთას, კონსტიტუციური სისტემის და ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლისაგან დაცვას.

სოდ–ი ახდენდა კრიმინალური პოლიციის ფუნქციების დუბლირებას. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გაუქმების შემდეგ, ამ ფუნქციებს შეასრულებს ახლადშექმნილი ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ოპერატიულ–სამძებრო და საგამომიებო საქმიანობას.

4.1.3. რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს შექმნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, პოლიტიკისა და დაგეგმვის პროცესების ინსტიტუციონალიზაციის, რეფორმების განხორციელებისა და მათზე მონიტორინგის კოორდინაციის მიზნით, შეიქმნა რეფორმებისა და განვითარების სააგენტო.

სააგენტო, შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინაციის გზით, განახორციელებს სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტების, განვითარების პოლიტიკისა და გეგმების შემუშავებას; რეფორმის პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგის კოორდინაციას; სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, პოლიციისა და საზოგადოების თანამონაწილეობის მექანიზმების შემუშავებას. იგი მჭიდროდ ითანამშრომლებს საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მიმდინარე წელს, სააგენტო შეიმუშავებს შსს–ს სისტემის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას.

4.1.4. გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება

დღემდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა მიმართულების განვითარება, ხშირ შემთხვევაში, განპირობებული იყო ცალკეული პიროვნებების დაუგეგმავი და ნაჩქარევი გადაწყვეტილებებით. წლების განმავლობაში არ არსებობდა სამინისტროს განვითარების სტრატეგია, არ

განხორციელებულა არსებული შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება, რაც უწყებას ნაკლოვანებებისა და საჭიროებების გამოვლენის, აგრეთვე რესურსების რაციონალურად გადანაწილების საშუალებას მისცემდა.

სამინისტროში, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს მიერ, არსებული შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე, შემუშავდება შსს-ს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მომავალი წლების განმავლობაში უწყების საქმიანობის პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს.

4.1.5. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბება

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის მთავარი პრიორიტეტია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბება. სიმშვიდის, წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, პოლიციამ თავისი საქმიანობა საზოგადოებასთან პარტნიორობის გზით უნდა განახორციელოს. მართალია, იგი პასუხისმგებელია დანაშაულის პრევენციასა და მისი რაოდენობის შემცირებაზე, მაგრამ საზოგადოებამაც უნდა გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა. თანამედროვე პოლიცია, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებაზე და მის საჭიროებებზე უნდა იყოს ფოკუსირებული. სასურველია, პოლიციის მთელი საქმიანობა განიხილებოდეს როგორც საზოგადოებრივი სერვისის განხორციელება, რომელიც ეფუძნება მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულებასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას. პოლიციისა და საზოგადოების სწორედ ამგვარი ურთიერთობა იძლევა იმ პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას, რომელიც საზოგადოებას ადელვებს.

შსს-ს სისტემაში განხორციელებული ძვრების მიუხედავად, წლების მანძილზე პოლიცია დაშორებული იყო საზოგადოებას. რეფორმის მიზანია პოლიციასა და საზოგადოებას შორის ამ დისტანციის შემცირება და თანამშრომლობის გაღრმავება. ურთიერთობის ეს ახალი ფორმა ურთიერთნდობას და პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს. აუცილებელია ყოველი პოლიციელის საქმიანობა საზოგადოებაზე ორიენტირებული იყოს, რათა პოლიცია თავად გახდეს ხარისხიანი სერვისის მიმწოდებელი. ამ მიზნით, პოლიციას მუდმივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს საზოგადოებასთან, რათა განისაზღვოს ამ უკანასკნელისთვის ყველაზე აქტუალურ პრობლემათა და საჭიროებათა წრე, გამოიკვეთოს პრიორიტეტები და გატარდეს მათი გადაჭრის გონივრული ღონისძიებები.

საზოგადოებაც აქტიურად უნდა იყოს ჩართული პოლიციის საქმიანობაში, რათა შემცირდეს სამართალდარღვევათა რაოდენობა, განხორციელდეს დანაშაულის პრევენცია და გაიზარდოს დანაშაულის გახსნის მაჩვენებლები. სწორედ ასეთი პარტნიორული დამოკიდებულება უზრუნველყოფს პოლიციის მიერ საზოგადოებისთვის მაღალი დონის მომსახურებას. მხოლოდ ასეთი რეალური თანამშრომლობის გზით დამკვიდრდება მოქალაქეებში რწმენა და ნდობა პოლიციის მიმართ.

4.1.6. ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დანერგვა; სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა

რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა შსს-ს სისტემაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დანერგვა. პოლიციის გამჭვირვალე შენობების აშენების მიუხედავად, შსს აღიქმებოდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დახურული საჯარო უწყება. სამინისტროს მიმდინარე პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ძალზედ მინიმალური იყო, ხოლო საზოგადოების ინფორმირებულობა შსს-ს საქმიანობის შესახებ – არადადამაკმაყოფილებელი. შესაბამისად, არ არსებობდა შსს-ს საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები.

სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობის ხედვაა, შეიქმნას საზოგადოებაზე ორიენტირებული სამართალდამცავი სისტემა, რომელიც მოემსახურება საზოგადოებას მართლწესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. აქედან გამომდინარე, საზოგადოება უფლებამოსილია მუდმივად აკონტროლოს სამინისტროს საქმიანობა და ამ უკანასკნელის შესაბამისობაში ყოფნა საზოგადოებრივ ინტერესებთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, რეფორმებისა და განვითარების სააგენტო აქტიურად მუშაობს სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის ახალი მექანიზმების შემუშავებაზე. რეფორმა ითვალისწინებს სამინისტროს ანგარიშების ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის ხარისხის გაზრდას, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას შსს-ს საქმიანობის სხვადასხვა ეტაპებზე. სამოქალაქო საზოგადოებასა და სამინისტროს ხელმძღვანელობის შეხვედრები მიიღებს რეგულარულ ხასიათს. აღნიშნული ხელს შეუწყობს უწყების გამჭვირვალობას, აამაღლებს მის მიმართ ნდობის ხარისხს და გააძლიერებს მასზე საზოგადოებრივ კონტროლს.

4.1.7. წესებისა და პროცედურების ინსტიტუციონალიზაცია

შსს-ს სისტემის გამართული და ეფექტური ფუნქციონირებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება პირადი შემადგენლობის საქმიანობის მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების ინსტიტუციონალიზაციას. ეს განაპირობებს უწყების თანამშრომელთა საქმიანობის სტანდარტიზაციას. აქამდე, აღნიშნულ საკითხს შსს სათანადო ყურადღებას არ უთმობდა. ერთი მხრივ, დაუხვეწავი იყო წესები და პროცედურები. მეორე მხრივ, არ ხდებოდა მათი პრაქტიკაში გამოყენება. სწორედ ამიტომ, იდენტური სიტუაციების განმუხტვის დროს პოლიციელები განსხვავებული წესებით მოქმედებდნენ. ეს ინსტრუქტირების სისტემის არაეფექტურობაზეც მიუთითებდა, რაც ნეგატიურად ისახებოდა შედეგზე.

პოლიციელის საქმიანობა რისკის შემცველია. სხვებისა და საკუთარი თავის დასაცავად, მას დამოუკიდებლად სწრაფი და გონივრული გადაწყვეტილების მიღებაც უნდა შეეძლოს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია უკლებლივ ყველა პოლიციელმა კარგად იცოდეს შესაბამისი წესები და პროცედურები. არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტროლის განხორციელება მათ შესრულებაზე.

შსს-ს სისტემის რეფორმა ითვალისწინებს უწყებაში პერსონალის საქმიანობის მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების განახლება/შემუშავებას და მათ ინსტიტუციონალიზაციას, როგორც ეს მოწინავე ქვეყნებშია მიღებული. დიდი ყურადღება დაეთმობა მათი თითოეულ პოლიციელამდე დაყვანისა და შესრულებაზე კონტროლის მექანიზმების შემუშავებას. დასაწყისისთვის მიზანშეწონილია, დარეგულირდეს ისეთი მნიშვნელოვანი სფეროები, როგორებიცაა, პოლიციელთა ზოგადი ქცევის წესები, დაკავება და ჩხრეკა, ძალისა და იარაღის გამოყენება, პოლიციის ავტომობილების მართვა და სხვა.

აღნიშნული ღონისძიებები აამაღლებს პოლიციის მიერ საზოგადოების მომსახურების ხარისხს და უზრუნველყოფს მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის დახვეწას.

4.1.8. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება

სამინისტროში ადამიანური რესურსების მართვასა და საკადრო პოლიტიკაში გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე სისტემის არარსებობა. რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავება. აღნიშნული პროცესი მოიცავს ისეთი საკითხების დახვეწას და ინსტიტუციონალიზაციას, როგორებიცაა სამსახურში მიღება, შეფასება, წახალისება, დაწინაურება, ანგარიშვალდებულებისა და პროფესიული ეთიკის

გამლიერება და სხვა სტანდარტული ოპერატიული პროცედურები. მოხდება სამოქალაქო პერსონალის როლის და მონაწილეობის მასშტაბების განსაზღვრა, პოლიციის ახალი ეთიკის კოდექსის შემუშავება.

დიდი ყურადღება დაეთმობა შსს-ში ადამიანური რესურსების მართვაში ჩართული სპეციალისტების კომპეტენციისა და უნარების გაღრმავებას და მათ შემდგომ განვითარებას. ამ მხრივ, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, რეგულარულად განხორციელდება სპეციალური ტრენინგები, კურსები და სემინარები.

4.1.9. სამინისტროს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა

4.1.9.1. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა

საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა ყოველთვის ხასიათდებოდა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცნობიერებს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია უმცირესობების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას მათი დასაქმება წარმოადგენს. სამინისტრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სამართალდამცავ საქმიანობაში მათი წარმომადგენლების ჩართულობას. ისინი კარგად იცნობენ ადგილობრივ ტრადიციებსა და საჭიროებებს და შესაბამისად, სამინისტროსთვის უდიდეს ღირებულებას წარმოადგენენ. აღნიშნული მიდგომის შედეგად, სამინისტროში იზრდება ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა რიცხვი. 2007 წლის მონაცემებით, ეთნიკური აზერბაიჯანელი პოლიციელების რაოდენობა შეადგენდა 152-ს, ხოლო 2012 წელს მათი რიცხვი 300-ს აღწევს, ხოლო იმავე პერიოდში ეთნიკურად სომეხ პოლიციელთა რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზრდილია 323-დან 500-მდე. ეს მონაცემები ემყარება თავად უმცირესობის წარმომადგენელთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

სამინისტროს სისტემაში სწრაფი ადაპტაციისათვის, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები შსს-ს აკადემიაში ეუფლებიან ქართულ ენას.

4.1.9.2. გენდერული თანასწორობა სამინისტროს სისტემაში

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა შსს-ს პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. სამინისტრო აცნობიერებს, რომ მოქნილი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების დაცვით. მათ თანაბრად ძალუმთ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. რიგ შემთხვევებში, როგორებიცაა კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვა, ოჯახური ძალადობის პრევენცია და მისი დროული გამოვლენა, მდედრობითი სქესის პოლიციელთა მონაწილეობა გაცილებით ეფექტურია.

შსს დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და წინადადებებს გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში გაეროს მხარდაჭერით შექმნილია პოლიციელ ქალთა ასოციაცია, რომელიც 90-მდე პოლიციის ოფიცერს აერთიანებს. სამინისტრო ჩართულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით განსაზღვრულ „გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციების (1325, 1820, 1888, 1889, 1960) 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ შესრულებაში.

მიუხედავად ამისა, შსს-ში არ არის საკმარისი ცოდნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე. ასევე, არაპროპორციულია ქალთა დასაქმების მაჩვენებელი შსს-ს ხელმძღვანელ და ქვედა რგოლებში. ამჟამად, შსს-ში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა სამინისტროს სრული შემადგენლობის 12.5% შეადგენს. აქედან, ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულია 35, საშუალო რგოლში 126, ხოლო დანარჩენი ნაწილდება ქვედა რგოლებში.

აუცილებელია, შსს-ს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. შესაბამისი ტრენინგებისა და სემინარების მოწყობის მიზნით, კიდევ უფრო გააქტიურდება თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მნიშვნელოვანია სამინისტროში ქალთა როლისა და წარმომადგენლობის გაზრდაც. ეს ჩამოყალიბებს ნდობაზე დამყარებულ თანამშრომლობას პოლიციასა და საზოგადოებას შორის. შესაბამისად, სამინისტრო უზრუნველყოფს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის.

4.1.10. ადამიანის უფლებების დაცვა

4.1.10.1. პოლიციის საქმიანობა და ადამიანის უფლებები

შინაგან საქმეთა სამინისტრო არის საზოგადოების უსაფრთხოების გარანტი, რომელიც უზრუნველყოფს მართლწესრიგის დაცვას, დანაშაულის აღკვეთასა და პრევენციას. მოქალაქეთა უსაფრთხოებისთვის პოლიცია უფლებამოსილია მიმართოს იძულების ღონისძიებებსაც, მათ შორის, დაკავებას. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კანონდამრღვევი ადამიანი უნდა იქცეს დანაშაულთან ბრძოლის შიშველ ობიექტად. ნებისმიერ პიროვნებას, მათ შორის, კანონდამრღვევსაც გააჩნია კონსტიტუციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებები. ამიტომ, პოლიცია თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე ვალდებულია პატივი სცეს ბრალდებულის პიროვნებასა და ღირსებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, მისი საქმიანობის განხორციელებისას მაქსიმალურად დაიცვას ადამიანის უფლებები. კერძოდ, ნებისმიერი საპოლიციო ღონისძიება უნდა ემყარებოდეს კანონიერების, პიროვნების, პატივისა და ღირსების, ჰუმანურობისა და საჯაროობის დაცვის პრინციპებს. ამოსავალ წერტილს სწორედ ღირსებადაცული მოქალაქის არსებობა წარმოადგენს.

პოლიციის საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროპორციულობის პრინციპის დაცვას. საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად პოლიციელს მრავალი უფლებამოსილება აქვს მინიჭებული, მათ შორის, ძალის გამოყენების. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი განურჩეველი გამოყენება დასაშვებია. მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად პოლიციელი ვალდებულია შეარჩიოს ისეთი ღონისძიება, რომელიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და საზოგადოების ინტერესს. უფრო მკაცრი ზომების გამოყენება დასაშვებია, როცა სხვაგვარად შეუძლებელია მიზნის მიღწევა. ამასთან აღსანიშნავია, რომ პოლიციას ძალის გამოყენება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული ღონისძიების სახით, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და ისიც გონივრულ ფარგლებში. თუმცა, ადრე არაერთხელ მომხდარა ძალის გადამეტება და ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. ხშირ შემთხვევაში, გამოყენებული ძალა დანაშაულის სიმძიმის ხარისხთან და დამნაშავის პიროვნებასთან შეუსაბამო იყო. დიდი ყურადღება დაეთმობა პოლიციის მიერ თანაზომიერების პრინციპის დაცვას.

4.1.10.2. ადამიანის უფლებათა დაცვა დროებითი მოთავსების იზოლატორებში (დმი)

ადამიანის უფლებათა დაცვა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დროებითი მოთავსების იზოლატორებში. დაკავების მომენტიდან სახელმწიფო იღებს დაკავებულ პირის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობას. განხორციელდა დროებითი მოთავსების იზოლატორების სისტემის, თავად დაკავებულებისა და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირების მოთხოვნილებათა შეფასება; დაიწყო ვიდეოკონტროლის სისტემების მონტაჟი; მხედველობაში იქნა მიღებული არსებული პრაქტიკა და სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციები, როგორებიცაა: წამებისა და არაადამიანური მოპყრობის და დასჯის პრევენციის ევროპის საბჭოს კომიტეტი, გაერო-ს სამუშაო ჯგუფი თვითნებური დაკავებების საკითხებზე, საქართველოს სახალხო დამცველი, Human Rights Watch, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვა. შედეგად, დაგეგმილია ცვლილებები ადამიანური რესურსების, ინფრასტრუქტურისა და საკანონმდებლო სფეროებში. რეფორმის მიზანია ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, არაადამიანური მოპყრობის აღკვეთა და დაკავებული და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ადამიანის უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რეფორმის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოში განხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

4.1.10.2.1. მონიტორინგის გაძლიერება

- **სტრუქტურული გაძლიერება.** არაადამიანური მოპყრობის აღმოფხვრისა და დაკავებულთა, ასევე ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირთა სათანადო პირობებით უზრუნველყოფის კონტროლის მიზნით, გაიზარდა მონიტორინგის სამმართველოს შტატი და მისი ფუნქციონალური შესაძლებლობები;
- **ვიდეოკონტროლი.** დაკავებულთა და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირთა უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში გაგრძელდება ვიდეოკამერების დამონტაჟება;
- **ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა.** იგეგმება სისტემაში ახალი ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა, რათა

მონიტორინგის სამმართველომ უკეთ განახორციელოს დმი–ზე ზედამხედველობა ვიდეოჩანაწერის პირდაპირი გადაცემის საშუალებით.

4.1.10.2.2. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

საქართველოს მასშტაბით დმი–ში ჩატარდება სარემონტო სამუშაოები, საჭიროებისამებრ გაუმჯობესდება გათბობის სისტემა და სანიტარული პირობები, ასევე დაკავებულები და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირები უზრუნველყოფილი იქნებიან ახალი საწოლებით.

4.1.10.2.3. ადამიანური რესურსები

- **პერსონალის რიცხოვნობის, მათ შორის, ქალთა კონტინგენტის გაზრდა.** დაკავებულ და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირთა უფლებების დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მოხდება დროებითი მოთავსების იზოლატორების პერსონალის საშტატო ერთეულების დამატება. გენდერული ბალანსის აღდგენისა და დაკავებულ ქალთა მიმართ პროცესუალური ნორმების სათანადოდ განხორციელების მიზნით, იგეგმება ინსპექტორ ქალთა რიცხოვნობის გაზრდა;
- **პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.** დაკავებულისა და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირთა არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით, პერიოდულად განხორციელდება დროებითი მოთავსების იზოლატორების მომსახურე პერსონალის რელევანტური ტრენინგი, მათ შორის ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესახებ;
- **სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.** მოხდება სამედიცინო პერსონალის გადამზადება და სამედიცინო უზრუნველყოფის გაძლიერება.

4.1.10.2.4. ნორმატიული ბაზის დახვეწა

დაგეგმილია ცვლილებების შეტანა სამართლებრივ ბაზაში, რათა მოხდეს მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მიმდინარეობს ვიდეოკონტროლისა და მონიტორინგის რეგულაციების შემუშავება საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით. ასევე, განიხილება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის შემცირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

4.1.10.2.5. ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება

იგეგმება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობა და დმი-ის სისტემის მაქსიმალური გამჭვირვალობისთვის, უფლებადამცველთა მონიტორინგში ჩართულობის უზრუნველყოფა.

4.1.11. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება

საქართველოში დღემდე მოქმედებს 1993 წელს მიღებული კანონი „პოლიციის შესახებ“, რომელიც საბჭოთა პერიოდის მილიციის შესახებ კანონის გადმონაშთია. აღნიშნული რეალობის გათვალისწინებით, შსს-ში მიმდინარეობს ახალ კანონპროექტზე მუშაობა.

4.2. საზოგადოებრივი მართლწესრიგი და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა

შსს–ს მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულისა და სამართალდარღვევათა რიცხვის შემცირება. ეს მოქალაქეთა თავისუფლების, განვითარებისა და სოციალური კეთილდღეობის საწინდარია. დანაშაულებრივ ქმედებებზე მუდმივი მზადყოფნის, ადეკვატური ზომების გატარების და საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების მოთხოვნებზე მყისიერი რეაგირების მიზნით, საჭიროა ძლიერი და ეფექტური სამართალდამცავი სისტემა. არსებობს რიგი გამოწვევები, რომლებთან გამკლავებაც საზოგადოებისა და პოლიციის მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

4.2.1. გამოწვევები

4.2.1.1. არასრულწლოვანთა ჩართულობა დანაშაულებრივ საქმიანობაში

ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნები მონაწილეობას იღებენ ისეთ დანაშაულებში, როგორებიცაა ხულიგნობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, განზრახ მკვლელობა და სხვა. ამ მიზნით, სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის შემცირებაზე. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და რეციდივის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია მათი საზოგადოებაში რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია. დანაშაულის პრევენციის და სკოლების ჩართულობის პროგრამები თავის მხრივ ხელს შეუწყობს ამ პრობლემის გადაწყვეტას.

4.2.1.2. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გახსნის დაბალი პროცენტული მაჩვენებელი

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ეკონომიკური დანაშაულის ყველაზე გავრცელებული სახეა და იგი იწვევს მატერიალურ–ქონებრივი სახის ზიანს. საქართველოში ამ ტიპის დანაშაულის ერთ–ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ქურდობა, რომლის გაუხსნელი საქმეების პროცენტული მაჩვენებელი მაღალია.

4.2.1.3. ოჯახური, მათ შორის, ქალისა და არასრულწლოვან პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობა

ოჯახური ძალადობა გამოწვეულია ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და სხვადასხვა რელევანტური ფაქტორით. იგი გამოიხატება მეტწილად ქალისა და არასრულწლოვან პირთა მიმართ სხვადასხვა სახის შეურაცხმყოფელ ქმედებებში. აღნიშნულ დანაშაულს უფრო ხშირად ადგილი აქვს ისეთ პრივატულ, დახურულ სივრცეში, სადაც მისი იდენტიფიცირება და მასზე შემდგომი რეაგირება დაზარალებულის განცხადების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ კუთხით აუცილებელია პოლიციისა და საზოგადოების ნდობაზე აგებული თანამშრომლობა.

4.2.1.4. ნარკოტიკული დანაშაული

აღნიშნულ დანაშაულში ჩართულობა განპირობებულია, როგორც მატერიალური სარგებლის მიღების, ასევე პირადი მოხმარების სურვილითა და სხვა ფაქტორებით. ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანი წარმოადგენს პოტენციურ სამართალდამრღვევს, რადგან ნარკოტიკული საშუალების შეძენის სახსრების უქონლობის შემთხვევაში, დამოკიდებულის მიერ ფულადი გამორჩენის მიზნით, დანაშაულის ჩადენის რისკი საკმაოდ მაღალია. მდგომარეობას ართულებს ის ფაქტორი, რომ წამალდამოკიდებულები ხშირად ცდილობენ სხვა პიროვნებების ჩაბმას ნარკოტიკების მოხმარებაში. აღნიშნული ქმედება განპირობებულია მათგან მატერიალური სარგებლის ან ნარკოტიკული საშუალებების მიღებით. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. აღნიშნული დაწვრილებით არის განხილული 4.7. თავში.

4.2.1.5. საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა

დანაშაულის ეფექტური პრევენცია და აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით. აღნიშნულ პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოების ინფორმირებულობისა და მართლშეგნების დაბალი ხარისხი. ხშირია დანაშაულის ფაქტების მიმართ საზოგადოების გულგრილობაც. აუცილებელია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა მათი თვითშეგნების ამაღლების გზით.

4.2.1.6. შსს–ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა

სამართალდამცავთა არასაკმარისი კვალიფიკაცია, გარკვეულ შემთხვევებში გვევლინება დანაშაულის პრევენციისა და აღმოფხვრის შემაფერხებელ ფაქტორად.

სხვადასხვა სახის დანაშაულთან ბრძოლაში აუცილებელია შესაბამისი უნარ-ჩვევების ქონა, ისევე, როგორც მუდმივი გადამზადება დანაშაულთან ბრძოლის ახალი მეთოდების ასათვისებლად.

4.2.1.7. შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განახლების აუცილებლობა

დანაშაულის პრევენციის, ოპერატიულ-სამძებრო და საგამომძიებო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის, აუცილებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება, მათ შორის, უსაფრთხოების თანამედროვე ელექტრონული საშუალებების დანერგვა. გარდა ამისა, საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურების თანამედროვე ხელსაწყოებით არასაკმარისი აღჭურვა აფერხებს ზოგიერთი ტიპის დანაშაულის გახსნას და შესაბამისად მის აღმოფხვრას.

4.2.2. 2013 წლის პრიორიტეტები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდეს ყურადღებას უთმობს დანაშაულის პრევენციას. სამინისტრო აცნობიერებს, რომ დანაშაულის გამომწვევ რისკ-ფაქტორებზე კონცენტრაცია, გაცილებით ეფექტურია, ვიდრე დანაშაულზე რეაგირების სტანდარტული მეთოდები. მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს არა მოკლევადიან ეფექტზე, არამედ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სიმშვიდის, უსაფრთხოების და მართლწესრიგის უზრუნველყოფაზე. პრევენციის მიზნით, საჭიროა ინტენსიური მუშაობა საზოგადოებასთან, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა მოხდეს დანაშაულის უარყოფითი მხარეების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

პრევენციისა და რეაგირების კუთხით აუცილებელია სამართალდამცავი სტრუქტურების შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, როგორც პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, ასევე ტექნიკური საშუალებების მოდერნიზაციის მხრივ. პრიორიტეტებს განეკუთვნება:

4.2.2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სკოლებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერაქტიული დისკუსიებისა და სემინარების ჩატარებას, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, საფრთხეებისა და შედეგების შესახებ. არასრულწლოვანთა მიერ რეციდივისა და შესაბამისად მოზარდების კრიმინალური კარიერის თავიდან აცილებისთვის, გატარდება

შესაბამისი ღონისძიებები საზოგადოებაში მათი რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის მიზნით.

4.2.2.2. დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

დანაშაულის პრევენცია და მასთან ბრძოლა ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ პროცესებში სამართალდამცავ სტრუქტურებთან ერთად ჩართულია საზოგადოება. ამ მხრივ უდიდესი როლი ენიჭება მოქალაქეთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. შინაგან საქმეთა სამინისტრო გაატარებს საინფორმაციო კამპანიებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებისა და ჩართულობისთვის.

4.2.2.3. საზოგადოებასთან ინტენსიური ურთიერთობების მექანიზმების შემუშავება

დიდი ყურადღება დაეთმობა საზოგადოებასთან სისტემატური ურთიერთობების მექანიზმის ჩამოყალიბებას. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ეფექტური საქმიანობისთვის აუცილებელია უზნის ინსპექტორს მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს მის სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან. ამ გზით მოხდება არსებული საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირება, მათი შემდგომი გადაჭრის მიზნით.

4.2.2.4. საზოგადოებაში საპატრულო პოლიციის ხილვადობის გაზრდა

დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „წინა ხაზზე მდგომი“ პოლიციელების რიცხვის გაზრდა. ეს ასევე უზრუნველყოფს დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მასზე სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას.

4.2.2.5. პოლიციის საქმიანობაში ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰუმანურობის პრინციპების დამკვიდრება

სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მეტი ყურადღება დაეთმობა როგორც დაზარალებულის, ასევე ბრალდებულის უფლებების დაცვას. პოლიციელებს ჩაუტარდებათ ტრენინგები დაზარალებულთა და ბრალდებულთა მიმართ სათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. ამ კუთხით, გაღრმავდება თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორთან.

4.2.2.6. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

პოლიციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება ოჯახური კონფლიქტების ნიადაგზე ძალადობისა და დანაშაულის პრევენცია და მათზე მყისიერი რეაგირება. დიდი ყურადღება დაეთმობა ძალადობის მსხვერპლთან ნდობაზე აგებული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. ეს შესაძლებელს გახდის სამართალდამცველმა მოიძიოს ინფორმაცია გაუცხადებელი დანაშაულის და იმ შემთხვევების შესახებ, რომელიც მსხვერპლში შიშს იწვევს. ამ კუთხით, ოჯახური ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირებისათვის მნიშვნელოვანია პოლიციის რიგებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა. საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად მოსახლეობასთან ჩატარდება გასაუბრებები და შეხვედრები. არასამთავრობო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შსს ჩაატარებს შესაბამის საინფორმაციო კამპანიებს.

4.2.2.7. შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობა მეტწილად დამოკიდებულია სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე და უნარ-ჩვევებზე. კონკრეტული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს შესაბამის კომპეტენციას. შსს დიდ ყურადღებას დაუთმობს სამინისტროს პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლებას. მათ ჩაუტარდებათ სისტემატური ტრენინგები შესაბამის სფეროებში.

4.2.2.8. პოლიციის ქვედანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მოდერნიზაცია

დანაშაულის პრევენციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის და გამოძიების ეფექტურად წარმართვისათვის, შესაძლებლობების ფარგლებში სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია დაკვირვების ელექტრონული საშუალებების რიცხვის გაზრდა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნას და მასზე სათანადო რეაგირებას.

4.3. საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია საგზაო უსაფრთხოება. ბოლო წლების განმავლობაში, საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა. საბჭოური ტიპის კორუმპირებული საგზაო პოლიციის ნაცვლად, შეიქმნა საპატრულო პოლიცია, რომელმაც მალევე მოიპოვა საზოგადოების მაღალი ნდობა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციასა და კანონდარღვევებზე რეაგირებაში.

ქვეყანაში საავტომობილო გზების ნაწილობრივმა მოდერნიზაციამ დღის წესრიგში დააყენა საგზაო უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება. საქართველოში საკმაოდ მაღალია გადაჭარბებული სიჩქარის, ალკოჰოლური ზემოქმედების, უყურადღებობის და სხვა ფაქტორების შედეგად გამოწვეული ავტოკატასტროფების რიცხვი. შესაბამისად, კვლავაც დიდია სიკვდილიანობის, სხეულის დაზიანებისა და მატერიალური ზარალის მაჩვენებელი.

4.3.1. გამოწვევები

4.3.1.1. საზოგადოების მიერ ავტოსაგზაო უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფა

საგზაო მონაკვეთებზე სიკვდილიანობის და სხეულის დაზიანების მაღალი მაჩვენებელი მეტწილად განპირობებულია სიჩქარის გადაჭარბებით, ალკოჰოლური თრობით, გადაღლილობით, უყურადღებობით და სხვა ფაქტორებით.

4.3.1.2. გზის სახიფათო მონაკვეთებზე უსაფრთხოების არასაკმარისი ზომები

ავტოსაგზაო შემთხვევების მაღალი რისკის ზონები არ არის უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი, რაც ხელს უშლის ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციას.

4.3.1.3. საპატრულო ეკიპაჟებისა და თანამედროვე აღჭურვილობის ნაკლებობა

საპატრულო ეკიპაჟების ნაკლებობა განაპირობებს საავტომობილო გზებისა და დასახლებული პუნქტების არასრულ დაფარვას და პოლიციის არასაკმარის ხილვადობას. ეს ნეგატიურად ისახება ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციასა და

ავტოკატასტროფებზე დროულ რეაგირებაზე. გარდა ამისა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ნაკლებობა აბრკოლებს ავტოკატასტროფების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებას, კერძოდ, შემთხვევის ზუსტი ადგილმდებარეობისა და გამომწვევი მიზეზების დადგენას. ყოველივე ეს ართულებს სტატისტიკის წარმოებას და შესაბამისად, გზის განსაკუთრებით საშიში მონაკვეთების იდენტიფიცირებას.

4.3.1.4. საგზაო მოძრაობის მართვის ავტომატიზებული სისტემების ნაკლებობა

აღნიშნული პრობლემა, სხვა ფაქტორებთან ერთად, გარკვეულ როლს თამაშობს საცობების წარმოქმნაში. მოქმედი შუქნიშნებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჩართული ერთიან ავტომატიზებულ სისტემაში. დასაჩქარებელია მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის პროცესი.

4.3.2. 2013 წლის პრიორიტეტები

შსს-ს ამოცანაა ავტოკატასტროფების რიცხვის და ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული შედეგების სიმძიმის შემცირება. ამ თვალსაზრისით, 2013 წლისთვის სამინისტროს პრიორიტეტებს განეკუთვნება:

4.3.2.1. საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება

ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირების მიზნით, გაიმართება საინფორმაციო კამპანიები საზოგადოების მიერ საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვის აუცილებლობის, მათი დარღვევით გამოწვეული საფრთხეების და შედეგების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფეხით მოსიარულეთა ცნობიერების ამაღლებას.

4.3.2.2. საგზაო უსაფრთხოების სისტემების დანერგვა/მოდერნიზაცია

შსს, კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობას მიიღებს საავტომობილო გზებზე შესაბამისი საგზაო ნიშნების განთავსებაში, მონაკვეთების მონიშვნასა და მარკირებაში, მოძრაობის მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარებაში. შესაძლებლობის ფარგლებში დაინერგება საგზაო უსაფრთხოების თანამედროვე ელექტრონული საშუალებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მაღალი რისკის მონაკვეთებზე, მათ შორის, სკოლების მიმდებარე ტერიტორიებზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის

ადგილებსა და სარკინიგზო გადასასვლელებზე უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას.

4.3.2.3. საპატრულო პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება

განახლდება საპატრულო პოლიციის ავტოპარკი და გაიზრდება კვალიფიციური პერსონალის რიცხვი. ეს გაზრდის საპატრულო ეკიპაჟების მოქმედების არეალს და მათ ხილვადობას, რაც ხელს შეუწყობს ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციას და მომხდარ ავტოკატასტროფებზე დროულ რეაგირებას. საპატრულო ეკიპაჟების ზრდასთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების შეძენა შესაძლებელს გახდის ავტოკატასტროფების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებას, როგორცაა შემთხვევის ზუსტი ადგილმდებარეობისა და გამომწვევი მიზეზების დადგენა.

4.3.2.4. ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკის წარმოება

საპატრულო პოლიცია ქვეყნის მასშტაბით დიდ ყურადღებას დაუთმობს ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, განისაზღვრება კრიტიკული საგზაო მონაკვეთები, რის შედეგადაც გატარდება შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიებები.

4.4. სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

საქართველოს საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ–ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ქვეყანაში სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება საზღვრის ინტეგრირებული მართვის პრინციპების გამოყენებით. აღნიშნული პრინციპები საქართველოში, საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის დამტკიცებასთან ერთად, 2008 წლის დასაწყისში დაინერგა. შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის განვითარებას შიდაუწყებრივი, უწყებათშორისი და საერთაშორისო მასშტაბით. საზღვრის ინტეგრირებული მართვის მიდგომების ეფექტიანი უტილიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, არა მხოლოდ უწყებათშორის, აგრეთვე შიდაუწყებრივ დონეზე. სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო საზღვარზე ორი სამინისტროს სამი სტრუქტურული ერთეულია წარმოდგენილი: ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და შსს–ს ორი ქვედანაყოფი – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და სასაზღვრო პოლიცია.

საქართველოს საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შსს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „საზღვრის მართვის შესაძლებლობების განვითარება ბავრა–ნინოწმინდას სასაზღვრო გამტარ პუნქტზე (სგპ)“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს: სგპ–ს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ტექნიკური აღჭურვა, სგპ–ს თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება, სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შემუშავება ბავრა–ნინოწმინდას სგპ–ზე უწყებათშორისი კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, დონორებისათვის და შესაბამისი უწყებებისთვის საზღვრის ინტეგრირებული მართვის თემაზე საკოორდინაციო შეხვედრების გამართვა.

საქართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტები სრულად ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, დაპროექტებულია ერთგვაროვანი მიდგომით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფო საზღვარზე ტვირთებისა და მგზავრთა უსაფრთხო და ორგანიზებულ გადაადგილებას. ყველა გამტარი პუნქტი აღჭურვილია რადიაციის დეტექტორებით, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს რადიოაქტიური ნივთიერებების კონტაზანდის შესაძლებლობას. პუნქტები აგრეთვე აღჭურვილია სამგზავრო დოკუმენტების ინსპექტირებისა და რეგისტრაციის თანამედროვე აპარატურით, ისევე როგორც შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით, რომელთა გამოყენებაც, შსს–ს ცენტრალური მონაცემთა ბაზის მეშვეობით დროის რეალურ რეჟიმში, ფიზიკური პირების მყისიერ ვერიფიკაციას უზრუნველყოფს. 2011 წლიდან, ყველა სასაზღვრო გამტარ პუნქტში დამონტაჟდა ე.წ.

სამგზავრო დოკუმენტების მეორადი ინსპექტირების ლაბორატორიები, რაც დამატებითი ექსპერტიზის გარეშე, გაყალბებული დოკუმენტების სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენის საუკეთესო საშუალებას იძლევა.

გასული წლების განმავლობაში, სახმელეთო საზღვრის კუთხით, ძირითადი ყურადღება და ფინანსები მიმართული იყო სასაზღვრო გამტარი პუნქტების განვითარებისა და მოდერნიზაციისკენ. შესაბამისად, სახმელეთო საზღვრის (ე.წ. „მწვანე საზღვარი“) დაცვისა და კონტროლის შესაძლებლობებიც შედარებით ნაკლებად ვითარდებოდა. სახმელეთო საზღვრის მართვის სფეროში ოპერირებს სტანდარტული სამოქმედო პროცედურები, ისევე როგორც რისკების შეფასების სისტემა, მაქსიმალურად დეცენტრალიზებულია რეგიონული ქვედანაყოფების მართვის სქემა. განხორციელდა საზღვრის დაცვის რეგიონული სამმართველოების ინფრასტრუქტურის და შენობების სრული მოდერნიზაცია.

სანაპირო დაცვის რეფორმა შსს-ს სისტემაში გატარებული ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმაა. 2008 წლის ბოლოს, სახელმწიფო რესურსების ხარჯვის ოპტიმიზაციის მიზნითა და სხვადასხვა საერთაშორისო ექსპერტთა რჩევით, სამხედრო ფლოტისა და სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის შერწყმა განხორციელდა. სანაპირო დაცვა ჩამოყალიბდა ერთადერთ საზღვაო ძალოვან უწყებად. სანაპირო დაცვის უპირველესი ამოცანაა საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და ექსკლუზიურ ზონაში სამართალდაცვითი ღონისძიებების გატარება. იგი პასუხისმგებელია საზღვაო საძიებო-სამამშველო ოპერაციებზე, ხოლო ომის შემთხვევაში ახორციელებს სამხედრო ფლოტის ფუნქციებს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი ზიანის მიუხედავად, მოხერხდა სანაპირო დაცვის ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია. განხორციელდა მცურავი საშუალებების მოდერნიზაცია და ექსპლუატაციაში შეყვანა. ფუნქციონირებს თანამედროვე სარადარო სადგურები, რომელთა დაფარვის რადიუსიც ვრცელდება საქართველოს მთელ სანაპირო ზოლზე, ტერიტორიულ წყლებსა და ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში.

4.4.1. გამოწვევები

4.4.1.1. დაუდგენელი საზღვრები

საქართველოსთვის მეზობელ სახელმწიფოებთან (რუსეთის ფედერაციასთან, სომხეთის რესპუბლიკასთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან) დაუდგენელი საზღვრები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და მესაზღვრეთა ყოველდღიურ საქმიანობაში ხელისშემშლელი ფაქტორია.

4.4.1.2. სასაზღვრო სექტორების ინფრასტრუქტურის გაუმართაობა

სასაზღვრო სექტორების ინფრასტრუქტურის გამართულობა უმნიშვნელოვანესია პირადი შემადგენლობისათვის სათანადო სამუშაო პირობების შესაქმნელად, რითაც ზოგადად გაუმჯობესდება საზღვრის დაცვისა და კონტროლის ხარისხი.

4.4.1.3. საზღვრის დაცვის საინჟინრო-ტექნიკური მოწყობა

საზღვრის პერიმეტრის უკეთ გასაკონტროლებლად მნიშვნელოვანია შესაბამისი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა მაგალითად, საგზაო ინფრასტრუქტურის გამართვა, სათვალთვალ კომპლექსებისა და სასაზღვრო ღობურების დამონტაჟება.

4.4.1.4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაცია

საფრთხედ რჩება ოკუპირებული რეგიონების შესაძლო გამოყენება, საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების დაგეგმვა-განხორციელებისა და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების უკანონო ტრანსპორტირების მიზნით.

4.4.1.5. მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტური კერების არსებობა

კვლავ დღის წესრიგში დგას კონფლიქტების საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო გადმოდინების, ლტოლვილთა ნაკადების და მათთან ერთად ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებული ჯგუფების შემოღწევის საშიშროება.

4.4.1.6. საქართველოს საზღვაო სივრცეში არსებული საფრთხეები

საერთაშორისო საზოგადოებისთვის ყურადსაღები უნდა იყოს აფხაზეთის აკვატორიის ისეთი უკანონო საქმიანობისათვის გამოყენება, როგორცაა: ტერორიზმი, იარაღის, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და სხვა მასალების უკანონო გადატანა, მეკობრეობა, უკანონო თევზჭერა, ზღვის გარემოს დაბინძურება და სხვა.

4.4.1.7. ნარკოტიკული ნივთიერებების და იარაღის უკანონო გადატანის რისკი

არსებობს ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების, მასობრივი განადგურების იარაღის და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის, ადამიანებით ვაჭრობის ალბათობა.

4.4.1.8. სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთების რთული რელიეფი

მთიანი რელიეფის გამო, სამართალდამცავი ორგანოებისათვის საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთი რთულად ხელმისაწვდომია, რაც ართულებს პირადი შემადგენლობის როტაციას და ლოჯისტიკური უზრუნველყოფის საკითხს.

4.4.1.9. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფები

სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლზე განვითარებული ბუნებრივი თუ ტექნოგენური ხასიათის კატასტროფები განსაკუთრებულ რეაგირებას მოითხოვს. ამ მხრივ, აუცილებელია მეზობელი სახელმწიფოების შესაბამის სამსახურებთან პრევენციული ღონისძიებების კოორდინირება.

4.4.1.10. სატრანსპორტო და მგზავრთა ნაკადის ზრდა

ბოლო წლების განმავლობაში, ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა სატრანზიტო ნაკადი. სხვადასხვა სახელმწიფოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებამ ვიზიტორების რაოდენობის მატება გამოიწვია. შესაბამისად, გაიზარდა დატვირთვა გამტარ პუნქტებზე არსებულ ინფრასტრუქტურასა და პირად შემადგენლობაზე.

4.4.2. 2013 წლის პრიორიტეტები

4.4.2.1. სასაზღვრო გამტარი პუნქტების ფუნქციონირების გაუმჯობესება

სახელმწიფო საზღვრის მართვის სისტემაში სასაზღვრო გამტარი პუნქტების დანიშნულებაა მგზავრთა, ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა საზღვარზე. მომსახურების შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით სასურველია სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე შესაბამისი სამოქმედო პროცედურების განახლება და კონტროლის სისტემის ელექტრონიზაცია.

4.4.2.2. სტანდარტული სამოქმედო პროცედურების განახლება

სასაზღვრო გამტარი პუნქტების სტანდარტული სამოქმედო პროცედურები განსაზღვრავს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზღვრო-სამიგრადიო კონტროლის განყოფილების მუშაობის წესებს. თითოეული სასაზღვრო გამტარი პუნქტისთვის დოკუმენტი ინდივიდუალურია. მასში დეტალურადაა აღწერილი სასაზღვრო გამტარ პუნქტზე წარმოებული პროცედურა და მისი ჩატარების წესი.

ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი 16 საერთაშორისო და 3 სახელმწიფოთშორისი სასაზღვრო გამტარი პუნქტიდან, დღეს სტანდარტული სამოქმედო პროცედურები დადგენილი აქვს მხოლოდ სამ პუნქტს. ესენია „წითელი ხიდი“, „სადახლო“ და „თბილისის აეროპორტი“. აღნიშნული პროცედურები საჭიროებს განახლებას. დაგეგმილია დანარჩენი პუნქტებისათვის ანალოგიური სამოქმედო პროცედურების შემუშავება და დანერგვა.

4.4.2.3. კონტროლის სისტემის ელექტრონიზაცია

მგზავრთა მომატებული ნაკადის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საზღვრის კვეთისთვის აუცილებელი პროცედურების გამარტივება. აღნიშნულის მისაღწევად ერთ-ერთ გზას გამტარ პუნქტებში ე.წ. „ი-გეიტების“ (e-gates) დამონტაჟება წარმოადგენს. ამის ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობას ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტების გაცემა იძლევა. საქართველოს მოქალაქეებისთვის საპასპორტო კონტროლის ელექტრონიზაცია ამცირებს პოლიციის თანამშრომელთა დატვირთვას და შესაბამისად უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ლოდინის დროს.

4.4.2.4. სახმელეთო საზღვრის უსაფრთხოების გაუმჯობესება

სახმელეთო საზღვრის ეფექტიანი მართვის განსახორციელებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესს. სასაზღვრო ქვედანაყოფების (სექტორები, სასაზღვრო პოსტები) უმრავლესობის ინფრასტრუქტურა საჭიროებს რეაბილიტაციას. გასაუმჯობესებელია სასაზღვრო თვალთვალის, ელექტრონული დაკვირვების და კავშირგაბმულობის სისტემები.

სახელმწიფო საზღვრის რთული რელიეფიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა სასაზღვრო ავიაციას ენიჭება. ავიაციის გამოყენება აუცილებელია ძნელად მისადგომი სასაზღვრო პოსტების მომარაგებისა და პერსონალის როტაციის მიზნით. გარდა ამისა, ავიაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძებნა-გადარჩენის ოპერაციებისა და საჰაერო პატრულირებისას.

4.4.2.5. დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში აქტიური მონაწილეობა

საჭიროა საქართველო-სომხეთის, საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიების მუშაობის გააქტიურება.

4.4.2.6. სექტორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

სახელმწიფო საზღვრის კონტროლირებადი სივრცის მონიტორინგის, კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, იგეგმება სასაზღვრო სექტორებზე ახალი ადმინისტრაციული შენობების და სათვალთვალო კომპიუტერების მშენებლობა, აგრეთვე არსებულის რეაბილიტაცია. ეს ასევე გააუმჯობესებს სამუშაო პირობებს სასაზღვრო პოლიციის გარკვეულ ქვედანაყოფებში. ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში, საქართველო-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის მონაკვეთზე დაგეგმილია გაუმჯობესებული საზღვრის ინტეგრირებული მართვის დანერგვის საპილოტე პროექტის განხორციელება. პროექტის მიხედვით, როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანის მხარეს აშენდება და აღიჭურვება 3 სასაზღვრო სექტორი. იქ მომუშავე მესაზღვრე პოლიციელები გაივლიან შესაბამის სწავლებებს. აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების დაწყება იგეგმება 2013 წელს.

4.4.2.7. რადიოკავშირის სისტემის მოდერნიზაცია

პრიორიტეტულია კავშირგაბმულობის სისტემის მოდერნიზაცია და სახელმწიფო საზღვრის სრული პერიმეტრის დაფარვა სათანადო რადიოკავშირის საშუალებებით. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბაზისო მაღალსიხშირის საკომუნიკაციო ქსელის განვითარებას, სასაზღვრო სექტორებს შორის დროის რეალურ რეჟიმში ინფორმაციის და მონაცემების გაცვლას.

4.4.2.8. სანაპირო დაცვის შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება

მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, აუცილებელია სანაპირო დაცვის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, ახალი, უფრო ეფექტური მცურავი საშუალებებით უზრუნველყოფა და პირადი შემადგენლობის მუდმივი გადამზადება.

4.4.2.9. საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის შექმნის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება

საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების ხელშეწყობით, დაგეგმილია საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ჩამოყალიბება. ერთობლივი მართვის ცენტრი, როგორც შიდაუწყებრივი და უწყებათშორისი თანამშრომლობის მექანიზმი, ხელს შეუწყობს საქართველოს საზღვაო სივრცეში არსებული საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

ცენტრის მთავარი ამოცანა იქნება საქართველოს საზღვაო სივრცეში იმ არალეგალური ქმედებების, საზღვაო ინციდენტებისა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის სერიოზული დარღვევების პრევენცია, აღმოჩენა და აღმოფხვრა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საქართველოს და მთელი რეგიონის უსაფრთხოებას. ცენტრი, როგორც ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მაკოორდინირებელი ორგანო, სანაპირო დაცვის ბაზაზე ჩამოყალიბდება. იგი აღიჭურვება ერთობლივი მართვისა და კონტროლის, კომუნიკაციების, საზღვაო დაკვირვების ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით.

4.4.2.10. სარემონტო შესაძლებლობების განვითარება

დონორი ქვეყნების დახმარებით, იგეგმება სანაპირო დაცვის ფოთის სარემონტო სახელოსნოსთვის შესაბამისი აღჭურვილობის შექმნა. აღნიშნული აღჭურვილობის დამონტაჟებისა და შესაბამისი პერსონალის მომზადების შემდეგ, სანაპირო დაცვას შესაძლებლობა ექნება საკუთარი ძალებით განახორციელოს მცურავი საშუალებების მცირე და მიმდინარე შეკეთება. ასევე, შესაძლებელი გახდება საზღვაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ტექნიკური მხარდაჭერა და ოპერაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება.

4.4.2.11. პირადი შემადგენლობის მომზადება/გადამზადება

სანაპირო დაცვის პირადი შემადგენლობის მომზადება/გადამზადება მუდმივი პროცესია. ბათუმისა და ფოთის ინგლისური ენის ლაბორატორიებში საკუთარი ძალებით ხორციელდება პერსონალის მომზადება სანავიგაციო/საზღვაო სპეციფიკის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია პირადი შემადგენლობის მომზადების გაგრძელება პოლიციის აკადემიასა და ბათუმის საზღვაო აკადემიასთან თანამშრომლობით.

4.5. საგანგებო სიტუაციების პრევენცია და ეფექტიანი მართვა

4.5.1. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების პრევენცია და ეფექტიანი მართვა

საქართველო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, განაგრძობს საგანგებო სიტუაციების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას. „ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული გეგმა“ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს სხვადასხვა უწყებების ძალისხმევის კოორდინაციისათვის. ის უზრუნველყოფს მათი შესაბამისი როლების განსაზღვრას მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციების რისკების გამოვლენის, შეფასების, პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროცესში.

ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების პრევენციასა და რეაგირების კოორდინაციაზე ისევე, როგორც ომის შემთხვევაში სამოქალაქო თავდაცვის უზრუნველყოფაზე შსს–ს სტრუქტურაში საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია. ის ახორციელებს შსს–ს შიდა მობილიზაციის ფუნქციებს და პასუხისმგებელია კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული გეგმით გათვალისწინებული ფუნქციების ამოქმედებასა და საერთო კოორდინაციაზე.

დეპარტამენტის შემადგენლობაში მორეაგირეთა ქვედანაყოფიც შედის. აღნიშნული ქვედანაყოფის დაქვემდებარებაში სხვადასხვა ტიპის სპეციალიზირებულ მორეაგირეთა ჯგუფებია გაერთიანებული: ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) ჯგუფი, მეხანძრე-მაშველთა, სამთო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო, საწყლოსნო, სამედიცინო და კინოლოგიური ჯგუფები. ყველა მათგანი აღჭურვილია საჭირო, სტანდარტიზებული ხელსაწყოებითა და ტრანსპორტით.

დეპარტამენტი და შსს–ს აკადემია უზრუნველყოფს სპეციალიზირებულ მომზადება/გადამზადების კურსს მორეაგირეთათვის. გარდა ამისა, დეპარტამენტი ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელ პირთა პერიოდულ გადამზადებას საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებში. დეცენტრალიზაციის გზით გაუმჯობესდა რეგიონული და ადგილობრივი დონის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სისტემა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში შსს აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ევროკავშირის მხარდაჭერით, 2012 წლის აგვისტოდან, ხორციელდება „საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამა შსს-ს

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისთვის“ (TWINNING). პროექტი ითვალისწინებს, ეროვნულ დონეზე, შსს–ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესებასა და საზოგადოების ცნობიერების ზრდას, რისკების გამოვლენის, პრევენციისა და რეაგირების ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

4.5.1.1. გამოწვევები

4.5.1.1.1. ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუარესება

ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები საფრთხეს უქმნის საქართველოს ეკოსისტემას, მის ბიომრავალფეროვნებასა და მოქალაქეების კეთილდღეობას. საქართველოს სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობა პირდაპირ კავშირშია ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეულ საფრთხეებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ისეთი სტიქიური მოვლენები, როგორებიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, ტყის ხანძრები, გვალვა, სეტყვა და ეროზიული პროცესები.

4.5.1.1.2. ტექნოგენური კატასტროფების საშიშროება

ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, იზრდება ტექნოგენური კატასტროფების საშიშროება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიტიკული ინფრასტრუქტურის, ქარხნების, ენერგომაგისტრალების, საკომუნიკაციო ხაზებისა და ა.შ. ტექნიკურად გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მაღალი რისკის შემცველია ქიმიური ნივთიერებების გაჟონვა, ჰიდროდინამიკური ავარიები და ავარიები მაგისტრალურ მილსადენებზე.

4.5.1.1.3. ადილობრივ დონეზე რეაგირების შესაძლებლობების არასათანადო განვითარება და საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი

პირველადი რეაგირების შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწყვლად რეგიონებში, არსებული რისკების შესახებ, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რათა მაქსიმალურად მოხდეს საგანგებო სიტუაციებისა და შედეგების მინიმუმაცია.

4.5.1.1.4. მატერიალურ–ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების აუცილებლობა

შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური შესაძლებლობების არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რეაგირების ხარისხის გაუმჯობესებას. თანამედროვე

ტექნოლოგიების გამოყენება საგრძნობლად ამცირებს დატვირთვას პირად შემადგენლობაზე. ასევე მცირდება რეაგირებისათვის საჭირო დრო და მაქსიმალურად უზრუნველყოფილია მსხვერპლთა სიცოცხლის შენარჩუნება.

4.5.1.1.5. შესაბამისი ნორმატიული აქტების დახვეწის აუცილებლობა

აუცილებელია საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული საკანონმდებლო თუ ნორმატიული აქტების არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს ხელს შეუწყობს მზადყოფნის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას.

4.5.1.2. 2013 წლის პრიორიტეტები

4.5.1.2.1. რისკის რუკების განვითარება

წინმსწრები საფრთხეებისა და მოწყვლადობის (მოსახლეობის სიმჭიდროვე, არსებული რესურსები, რეაგირების ძალები) მიხედვით, მომზადებული რისკის რუკების სრულყოფა და განვითარება უწყვეტად მიმდინარეობს. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი მიზნად ისახავს ზემოხსენებული საფრთხეების რუკების საფუძველზე გეოინფორმაციული (GIS) ტექნოლოგიების გამოყენებით რისკის რუკების შემდგომ დახვეწას.

4.5.1.2.2. პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება

სამაშველო-სახანძრო საბაზისო მომზადება რეაგირების პროცესის სწორად წარმართვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რეგიონული მაშველებისა და მუნიციპალური მეხანძრე-მაშველების საბაზისო მომზადების გარდა, შსს-ს პრიორიტეტია უფრო მაღალი დონის სპეციალური პროფესიული მომზადება/გადამზადების შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შსს-ს აკადემიის ბაზაზე არსებული შესაძლებლობის მიმართულების უფრო აქტიური გამოყენება და შემდგომი დახვეწა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვისა და მუნიციპალური სახანძრო-სამაშველო სამსახურების ხელმძღვანელთა და ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებელ პირთა პერიოდული ტრენინგი.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ორგანიზებით გაგრძელდება მუნიციპალიტეტების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შემუშავება. ამ მიზნით, ჩატარდება სპეციალური სასწავლო კურსები ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი წარმომადგენლებისათვის გეგმების მომზადებისა

და საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის საკითხებზე. შესაბამისი გეგმების გამოცდის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში დეპარტამენტის მიერ სამაგიდო ვარჯიშების რეგულარული განხორციელება.

ამ მიმართულების გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილია, საგანგებო სიტუაციების მართვის კუთხით, სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების უფლებამოსილი პირების მომზადება და გადამზადება.

4.5.1.2.3. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება არსებული რისკების, პრევენციისა და რეაგირების შესახებ

რეგიონული და მუნიციპალური სახანძრო-სამაშველო სამსახურების წარმატებით შექმნის შემდეგ მიზანშეწონილია, მეტი ყურადღება დაეთმოს მოხალისე-მაშველთა ჯგუფების ჩამოყალიბებას. ამით ისინი შეძლებენ დაზიანების კერაში პირველად რეაგირებას და აუცილებლობიდან გამომდინარე, პროფესიონალი მაშველებისათვის დახმარების აღმოჩენას.

საგანგებო სიტუაციებისას, უსაფრთხოების შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაგეგმილია მოსახლეობის სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შესაბამისი პროგრამების განხორციელება და მხარდაჭერა. მოსახლეობის გათვითცნობიერების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობისათვის რეკომენდაციებისა და სასწავლო მასალების შემუშავება და მათი დანერგვის პროცესის მხარდაჭერა.

4.5.1.2.4. სამოქალაქო თავდაცვისა და კატასტროფების მართვის სფეროში კანონმდებლობის დახვეწა

აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტებს შორის კომპეტენციების გადანაწილების შედეგად, ასევე საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და პრევენციის კომპონენტის გაძლიერებისთვის, საჭიროა საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული ნორმატიული აქტების ადეკვატური კორექტირება და შემდგომი სრულყოფა. ეს გულისხმობს ეროვნული რეაგირების გეგმაში პრევენციისა და მზადყოფნის კომპონენტების გააქტიურებასა და საგანგებო დახმარების ფუნქციების ოპტიმიზაციას. ეს ასევე ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმების დაზუსტებასა და ამოქმედებას.

4.5.2. ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება

„საქართველოს 2010–2013 წ.წ. საფრთხეების შეფასების დოკუმენტი“ შემდეგი რედაქციით განსაზღვრავს საქართველოს წინაშე მდგარ ბუნებრივ და ტექნოგენური ხასიათის საფრთხეებს: „გარდა ბუნებრივი კატასტროფებისა, ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად იზრდება ტექნოგენური კატასტროფების საშიშროება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საწარმოების, ქარხნების, ენერგომაგისტრალების და საკომუნიკაციო ხაზების ტექნიკურად გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ტექნოგენური კატასტროფებიდან რისკის შემცველია ქიმიური ნივთიერებების გაჟონვა, ჰიდროდინამიკური ავარიები და ავარიები მაგისტრალურ მილსადენებზე“.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული, ბირთვული საფრთხეების კუთხით საქართველო და ზოგადად სამხრეთ კავკასიის რეგიონი საკმაოდ არასტაბილურია. აღსანიშნავია, რომ რეგიონში განთავსებულია რამოდენიმე მაღალი რისკის შემცველი ობიექტი, რაც ფართომასშტაბიანი კატასტროფის შემთხვევაში, შესაძლოა საქართველოსთვის სერიოზული საფრთხის მატარებელი აღმოჩნდეს.

შსს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რადიოაქტიური საფრთხის შემცველი ნივთიერებების უკანონო ტრანზიტის მცდელობების ადრეულ გამოვლენასა და პრევენციას. დღესდღეობით, საქართველოში დაფიქსირებულია რადიოაქტიური ნივთიერებების კონტრაბანდის მცდელობის რამდენიმე ფაქტი. აღნიშნული ფაქტები გამოვლენილ იქნა, როგორც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე დამონტაჟებული დეტექტორების მეშვეობით.

ბიოუსაფრთხოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის დაფინანსებით, საქართველოში აშენდა ბიოუსაფრთხოების ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია – „რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი“, რომელიც მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მომსახურებაზეა გათვლილი და საკმაოდ სერიოზულ რესურსს წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კუთხით.

ქბრბ თემას დიდ ყურადღებას უთმობს აშშ, ნატო და ევროკავშირი. სხვადასხვა ფორმატებში არაერთხელ იქნა გაჟღერებული აღნიშნული საკითხის პრიორიტეტულობა. 2012 წლის სექტემბერში ალიანსის ეგიდით გამართულ კატასტროფებზე რეაგირების საერთაშორისო სწავლების ფარგლებში, პრაქტიკული თუ თეორიული მეცადინეობის საკმაოდ დიდი ნაწილი დაეთმო სწორედ ქიმიურ და რადიაციულ ინციდენტებზე რეაგირებას.

4.5.2.1. გამოწვევები

4.5.2.1.1. რეგიონში არსებული მაღალი საფრთხის შემცველი ობიექტები

მეზობელ სომხეთში მდებარე ატომური ელექტროსადგური, მოძველებული ტექნოლოგიებისა და სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობის გამო, საქართველოსთვის საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ რეგიონში განთავსებულია მრავალი მიტოვებული შესუსტებული კონტროლის ქვეშ მყოფი ობიექტი, სადაც დღესაც შესაძლებელია მოიპოვებოდეს გარკვეული რადიოაქტიური თუ ქიმიური საფრთხის შემცველი ნივთიერებები.

4.5.2.1.2. რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ტრანზიტი

საქართველოს სტარტეგიული მდებარეობიდან გამომდინარე საკმაოდ მაღალია იმ რისკის ფაქტორი, რომელიც უკავშირდება რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ტრანზიტს. მნიშვნელოვანია მსგავსი ფაქტების ადრეული გამოვლენა და ოპერატიული ღონისძიებების გატარება პრევენციის მიზნით.

4.5.2.1.3. ბიოუსაფრთხოება

ბიოლოგიური საფრთხის კუთხით, კავკასიის რეგიონი წარმოადგენს ენდემურ არეალს გარკვეული ტიპის განსაკუთრებით საშიში პათოგენებისათვის, მაგალითად როგორებიცაა ჯილეხი და ცოფი. შესაბამისად, ქვეყანაში და მთლიანად რეგიონში მნიშვნელოვანია ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ბიოუსაფრთხოების თემატიკაზე.

4.5.2.1.4. ქვრბ სფეროში ერთიანი მიდგომის არარსებობა

მიზეზთა გამო, საქართველოს მასშტაბით არ არსებობს ერთიანი მიდგომა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების საკითხებთან მიმართებაში – არ არსებობს სტრატეგია. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ერთიანი ხედვის შემუშავება, რათა მოხდეს სახელმწიფოს ძალისხმევით კონსოლიდაცია შესაბამისი საფრთხეებისა თუ გამოწვევების მიმართ.

4.5.2.2. 2013 წლის პრიორიტეტები

4.5.2.2.1. უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება

აუცილებელია ჩამოყალიბდეს უწყებათშორისი ჯგუფი, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ექსპერტების რეკომენდაციებისა და

რჩევების გათვალისწინებით შეძლებს ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ საფრთხეებთან ბრძოლის ეროვნული შესაძლებლობების შესწავლა/შეფასებას. აღნიშნული შეფასების საფუძველზე მოხდება ერთიანი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება.

4.5.2.2.2. ქბრ სტრატეგიის შემუშავება

მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინსტიტუციონალური მიდგომის შემუშავება. ეს ხელს შეუწყობს ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ საფრთხეებთან ბრძოლის პოლიტიკის, პროგრამების, აღჭურვილობისა და წვრთნის საკითხებში მდგრადი შესაძლებლობებისა და ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მეგობარი სახელმწიფოებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, 2013 წლიდან სათავეში ჩაუდგება ქბრ სტრატეგიის შემუშავების პროცესს.

4.5.2.2.3. ქბრ სამდივნოს დაფუძნება

ევროკავშირის ინიციატივის „ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ საკითხთა სამდივნო“ (CBRN Centers of Excellence) ფარგლებში საქართველოში ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ საკითხთა სამდივნო განთავსდება. აღნიშნული ცენტრი ერთადერთი იქნება არა მარტო რეგიონში, არამედ მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. სამდივნოში მოხდება ქბრ საკითხებთან დაკავშირებულ თემებზე პროექტების თავმოყრა, განხილვა და შემდგომ ევროკავშირის დაფინანსებისთვის წარდგენა. აღსანიშნავია, რომ ინიციატივა და დაფინანსება ეკუთვნის ევროკომისიას. პროექტის იმპლემენტატორია გაერო-ს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის ინსტიტუტი (UNICRI) და ევროკომისიის ერთიანი კვლევების ცენტრი (EC JRC).

სამდივნო ასევე ორგანიზებას გაუწევს ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ თემაზე სხვადასხვა კურსებისა თუ სემინარების ჩატარებას. ეს საუკეთესო პირობას ქმნის იმ სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებების თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავებისათვის, რომლებიც ჩართულები არიან რისკის შემცირების, პრევენციული ზომების გატარების და ამ ტიპის კატასტროფებზე რეაგირების პროცესში.

4.5.2.2.4. პასუხისმგებელ უწყებებთან ურთიერთქმედების მექანიზმების გაუმჯობესება

დღეისათვის არსებული კანონმდებლობის გარდა, საქართველოში მოქმედებს ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული გეგმა, რომელიც

სხვადასხვა სახის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისას შესაბამისი უწყებების კონკრეტულ ფუნქციებს განსაზღვრავს. მიზანშეწონილია სათანადო ანალიზის საფუძველზე აღნიშნული გეგმის მიხედვით ფართომასშტაბიან ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა და ამგვარ ინციდენტებზე რეაგირების კუთხით მაკოორდინირებელი უფლებების ისეთ უწყებაზე დელეგირება, რომელსაც ამ სფეროში ყველაზე მეტი კომპეტენცია და შესაძლებლობები გააჩნია.

4.5.2.2.5. სამართლებრივი ბაზის დახვეწა

მიზანშეწონილია უწყებათშორისმა სამუშაო ჯგუფმა მოახდინოს ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ საფრთხეებთან მიმართებაში ეროვნული კანონმდებლობის კუთხით ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება. ეს მიზნად ისახავს ნორმატიული აქტების დახვეწას და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას.

4.6. მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა

ქვეყანაში, ეკონომიკური განვითარების პარალელურად, სულ უფრო მატულობს მიგრაციული პროცესების მართვის აუცილებლობა. კონტროლირებადი მიგრაციული პროცესები ხელს უწყობს ქვეყნის უსაფრთხოებას, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოში მიგრაციის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯად შეგვიძლია განვიხილოთ სპეციალურად შექმნილი სამთავრობო კომისია, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება წარმოადგენს. აღნიშნული სტრატეგია ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგია ეფუძნება კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის პრინციპებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიგრაციის სამთავრობო კომისიაში ერთ-ერთ წამყვან უწყებას წარმოადგენს. იგი აქტიურადაა ჩართული მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფებში. სამინისტროს მხრიდან მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების მართვაში ჩართულნი არიან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და სასაზღვრო პოლიცია. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე მოქმედი უფლებამოსილი ორგანოა. იგი აწარმოებს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლს, ადგილზე გასცემს ვიზებს და ახორციელებს სასაზღვრო რეჟიმის დაცვას. საპატრულო პოლიცია პასუხისმგებელია რეადმისიის ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურულ და ორგანიზაციულ საქმიანობაზე.

შსს-ს სასაზღვრო პოლიცია პასუხისმგებელია აწარმოოს როგორც სახმელეთო, აგრეთვე საზღვაო საზღვრის კონტროლი. ეს გულისხმობს საზღვრის ფიზიკურ და ტექნიკურ დაცვას და საზღვრის პერიმეტრის პატრულირებას.

2006 წლიდან დღემდე, საქართველოს ხელისუფლებამ მიგრაციასთან დაკავშირებით რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განახორციელა. საქართველოს მიგრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ეროვნული კანონმდებლობისგან შედგება.

ამჟამად, ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების მხარდაჭერითა და დაფინანსებით შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს შემდეგი პროექტები: 1). „მიგრაციის სფეროში ტრენინგებისა და ანალიტიკური შესაძლებლობების ზრდა საქართველოსა და მოლდოვაში“ და 2). „საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერა ევროკავშირთან რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში“.

4.6.1. გამოწვევები

წლების განმავლობაში ქვეყანა ლიბერალურ სამიგრაციო პოლიტიკას ატარებს. საქართველოში შემოსვლის უვიზო რეჟიმით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა სარგებლობს. იმ ქვეყნების მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ჩვენთან შემოსასვლელად ვიზა ესაჭიროებათ, პროცედურები მაქსიმალურადაა გამარტივებული. აღნიშნული პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური საჭიროებებით არის განპირობებული. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში უკონტროლო მიგრაციულმა პროცესებმა, შესაძლოა, უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ასევე ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის პროცესის მიმართულებითაც. მიგრაციის მართვის სფეროში არსებული გამოწვევებია:

4.6.1.1. მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა

ხშირ შემთხვევაში, საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქე ინფორმაციის ნაკლებობის, ან მისი არქონის გამო, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ებმება ან/და თვითონ ხდება ასეთი ქმედების მსხვერპლი.

4.6.1.2. მიგრაციის ნაკადების მონიტორინგის უწყებათშორისი ერთიანი სისტემის არარსებობა

საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესახებ ინფორმაციის ფრაგმენტულობა შსს–ს მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამჟამად, არ არსებობს მიგრაციის ნაკადების მონიტორინგის უწყებათშორისი ერთიანი სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის მართვაში ჩართული ცალკეული უწყებები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიგრაციის მონიტორინგს ახორციელებენ, მათ არ გააჩნიათ მიგრაციასთან დაკავშირებული ერთიანი დამუშავებული ინფორმაცია.

4.6.1.3. არალეგალური მიგრანტების დაკავებისა და დეპორტაციის ქმედითი მექანიზმების არარსებობა

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სირთულეები ექმნება ქვეყანაში მყოფი არალეგალური მიგრანტების დაკავებისა და მათი ქვეყნიდან გაძევების ქმედითი მექანიზმის არარსებობის გამო.

4.6.1.4. რეადმისიას დაქვემდებარებულ პირთა განთავსების ცენტრის არარსებობა

ამ საკითხის მოუგვარებლობა სირთულეებს უქმნის შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც რეადმისიას დაქვემდებარებულ პირთა საქართველოში დაბრუნების საკითხებში პასუხისმგებელ ორგანოს.

4.6.2. 2013 წლის პრიორიტეტები

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა ქვეყნის სამიგრაციო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და შსს–ს 2013 წლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ზემოთ აღნიშნული საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის პრევენციულ და აღმკვეთ ღონისძიებებს განახორციელებენ.

4.6.2.1. არალეგალური მიგრაციის პრევენცია

არალეგალური მიგრაციის პრევენციის მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მათ შორის დონორთა მხარდაჭერით, განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

4.6.2.1.1. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება

აუცილებელია არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეების, მათ შორის, ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის შესახებ ინფორმაციული მასალების მომზადება და მათი სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე გავრცელება.

4.6.2.1.2. მიგრაციის მართვის სფეროში შსს–ს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება

დიდი ყურადღება დაეთმობა შსს–ს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამთავრობო სტრუქტურებს შორის ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, ჩატარდება მიგრაციასთან დაკავშირებული ტრენინგები.

4.6.2.2. არალეგალური მიგრაციის აღკვეთა

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

4.6.2.2.1. არალეგალ მიგრანტთა გამოვლენისა და დაბრუნების მექანიზმის შემუშავება და შესაბამისი სამსახურის ჩამოყალიბება

ამჟამად არ არსებობს მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალურად მყოფი მიგრანტების გამოვლენა და მათი ქვეყნიდან დეპორტაცია იქნება დარეგულირებული. გარდა ამისა, ქვეყანაში არ არსებობს მათი დროებითი განთავსებისთვის საჭირო პირობები. შსს დიდ ყურადღებას დაუთმობს აღნიშნული საკითხის დროულ გადაწყვეტას.

4.6.2.2.2. მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა

მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა შესაძლებელს გახდის სტატისტიკის წარმოებას და ხელს შეუწყობს მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის საჭიროებისამებრ განახლებას. შინაგან საქმეთა სამინისტრო, კოორდინაციას გაუწევს აღნიშნული ბაზის შექმნის პროცესს.

4.6.2.2.3. ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგისა და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება

შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობას მიიღებს საზღვრის ინტეგრირებული მართვის მექანიზმების გაუმჯობესებასა და ტექნიკური საშუალებების გაზრდაში.

4.6.2.2.4. რეადმისიის შეთანხმებებისა და მათი საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმება

რეადმისიას დაქვემდებარებული პირების ღირსეულად დაბრუნების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ევროკავშირთან რეადმისიის შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმებისა და სხვა სახელმწიფოებთან რეადმისიის შეთანხმებების ეტაპობრივ გაფორმებას.

4.7. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარება და მოხმარებით გამოწვეული ზიანი, აგრეთვე წამალდამოკიდებულება, დღესდღეობით აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ის უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ყველა ფენაზე.

ბოლო წლებში, სახელმწიფოს მკაცრი პოლიტიკის შედეგად, სიტუაცია ნარკომანიასთან დაკავშირებით გარკვეულწილად დადებითი კუთხით შეიცვალა. შემცირდა ნარკოტრაფიკის გზით შემოსული ოპიოიდური ნარკოტიკული საშუალებების (ოპიუმი, ჰეროინი, სუბუტექსი) შავ ბაზარზე ბრუნვა. თუმცა, გაზრდილია ისეთი ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური საშუალებების უკანონო მოხმარება, რომელთა ხელმისაწვდომობა არ არის დამოკიდებული ნარკოტრაფიკზე (მარიხუანა, კოდეინის შემცველი პრეპარატები, ამფეტამინის და მეტამფეტამინის შემცველი წამლები, ფსიქოაქტიური ნივთიერებები). 2012 წლის მონაცემებით, ნარკოტიკულ საშუალებებს ყველაზე ხშირად 25–44 წლის მამაკაცები მოიხმარენ.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შსს-ს საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორებიცაა: პიროვნების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, პიროვნების უსაფრთხოების დაცვა, ადამიანის ღირსების პატივისცემა და უფლებების დაცვა, ბავშვთა უფლებების დაცვა.

4.7.1. გამოწვევები

მიუხედავად ბოლო წლებში გატარებული ანტინარკოტიკული პოლიტიკისა, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება:

4.7.1.1. საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა

საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებზე და საფრთხეებზე ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარებას მოზარდებში, ახალგაზრდებსა და ზოგადად მოსახლეობაში.

4.7.1.2. ნარკოტიკების უკანონო შემოტანაზე კონტროლის მექანიზმების შენარჩუნება

სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე კონტროლის შესუსტებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ნარკოტიკების უკანონო შემოტანას, გავრცელებასა და ტრანზიტს საქართველოს ტერიტორიაზე.

4.7.1.3. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირთა შესახებ მონაცემთა დაუხვეწავი ბაზა

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირთა შესახებ მონაცემთა დაუხვეწავი ბაზა არ იძლევა ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის საშუალებას.

4.7.2. 2013 წლის პრიორიტეტები

არსებული ვითარების გათვალისწინებით, 2013 წელს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შსს-ს პრიორიტეტული მიმართულება პრევენციული და აღმკვეთი ღონისძიებების განხორციელებაა. პრევენციულ ქმედებებში იგულისხმება ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და მისგან გამოწვეული ზიანის თავიდან აცილება. პრევენციული პოლიტიკის სამიზნეებია ბავშვები/მოზარდები, ახალგაზრდობა და საზოგადოების ის ნაწილი, რომლებიც არ მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს. აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განათლების სისტემაში არსებული პროგრამები.

ნარკომანიის უკანონო გავრცელებისა და ნარკომანიასთან ბრძოლის მიმართულებით შსს-ს პრიორიტეტებია:

4.7.2.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის გაიმართება აქტიური ანტინარკოტიკული საინფორმაციო კამპანიები, რაც ხელს შეუწყობს ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და მისგან გამოწვეული ზიანის თავიდან აცილებას, ასევე, პოტენციურ ნარკომომხმარებელთა კონტინგენტის შემცირებას. ყურადღება უნდა გამახვილდეს რისკ ჯგუფებზე, კერძოდ მოზარდებზე და ბავშვებზე რომლებსაც გარემო ფაქტორები (სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა) უბიძგებენ გახდნენ ნარკომომხმარებლები.

4.7.2.2. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირთა შესახებ მონაცემთა ბაზის დახვეწა

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირთა შესახებ ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზის დახვეწა შესაძლებელს გახდის ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილ შეგროვებასა და ანალიზს.

4.7.2.3. ნარკოტიკული ნივთიერებების არალეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის ეფექტური გამოვლენა და აღკვეთა

ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდისათვის აუცილებელია სამართალდამცავ ორგანოთა ინსტიტუციონალური გაძლიერება და შსს-ს თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება.

4.7.2.4. ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური ბრუნვის შემცირება

აუცილებელია კონტროლის გაძლიერება ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო მოძრაობის შესაძლო მარშრუტებზე: აეროპორტებზე, პორტებზე, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე. იმპორტსა და ექსპორტზე სათანადო კონტროლის გაუმჯობესება ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური ბრუნვის პრევენციასა და აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

კინოლოგთა სამსახურის ჩართულობა სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე გააადვილებს საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებადი, მათ შორის ტრანზიტული, ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების კონტროლს.

4.7.2.5. სამთავრობო უწყებებს შორის ეფექტური კოორდინაცია და თანამშრომლობა

კოორდინაცია აუცილებელია მრავალმხრივი მიდგომის განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ნარკომანიის წინააღმდეგ შედეგზე ორიენტირებული ბრძოლის წინაპირობას. ასევე, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაღრმავება და მათი ჩართულობის გაზრდა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

4.7.2.6. ნარკომანიასთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაგრძელება და გაღრმავება

გაგრძელება თანამშრომლობა ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, გაერო–სთან და ევროპის საბჭოსთან. გამოცდილების გაზიარების მიზნით, შსს გააგრძელებს ორმხრივ და

მრავალმხრივ თანამშრომლობას მეზობელი და პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან. უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა რეგიონულ დონეზე და შეიქმნას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაზე დაკვირვების ერთიანი მექანიზმი.

4.7.2.7. საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა

გაგრძელდება შსს-ს ჩართულობა შესაბამის პროექტებში. ერთ-ერთი მათგანია ავღანური ოპიატების ვაჭრობის პროექტი, რომლის მიზანია ოპიატების უკანონო ბრუნვის თაობაზე სისტემატური, თანმიმდევრული და ანალიტიკური მონაცემების შეგროვება, საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა და საერთაშორისო რეაგირების გაძლიერება. ეს ხელს შეუწყობს სუამ-ის წევრ ქვეყნებში ნარკოტიკების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

4.8. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განიხილება, როგორც მონობის თანამედროვე, სახეშეცვლილი ფორმა. მსოფლიოს მასშტაბით ის ერთ–ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს. მის დასაძლევად სხვადასხვა ქვეყნები მჭიდროდ თანამშრომლობენ ორმხრივ თუ მრავალმხრივ ფორმატებში.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის კუთხით, საქართველომ არაერთი ნაბიჯი გადადგა. შექმნილია ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც ემსახურება ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებასა და დაცვას. ფონდის ფუნქციებში ასევე შედის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია. ქვეყანაში მოქმედებს უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებში მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან. საბჭომ, სამოქმედო გეგმის შესრულების ფარგლებში და ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწის კუთხით, დაამტკიცა „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია“.

ქვეყნის მასშტაბით ჯერ კიდევ არ არსებობს ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი ეროვნული სტრატეგია. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ტრეფიკინგთან ეფექტური ბრძოლის მიზნით, მოქმედებს 2011–2012 წლების სამოქმედო გეგმა.

აღნიშნულ სფეროში საკანონმდებლო ბაზის დახვეწის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროსა და ევროპის საბჭოს კონვენციები. ქვეყანაში მოქმედებს ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) და ერთიანი საინფორმაციო ბანკი. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ადამიანებით მოვაჭრეთა იდენტიფიკაციის დადგენასა და მათ შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოც ქვეყანასთან აქვს გაფორმებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიციის სფეროში ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის სფეროშიც. კონკრეტულად, ტრეფიკინგის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიებების გატარების მიზნით, შესაბამისი ოქმი ხელმოწერილია მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკასთან.

„ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2011–2012 წლის სამოქმედო გეგმის“ მიხედვით, შსს ახორციელებს: საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით, ბეჭდვითი საინფორმაციო მასალების მომზადებასა და გავრცელებას; შსს-ს თანამშრომლებისთვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზებას; ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევებისა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა მონაცემების განზოგადებულ ანალიზს; შსს-ს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ კვარტალური ანგარიშების მომზადებას; სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

4.8.1. გამოწვევები

4.8.1.1. ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადგილმდებარეობის დადგენის მექანიზმების არასრულფასოვნება

ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების/ოქმების არარსებობა ართულებს მსხვერპლთა ადგილმდებარეობის დროულ დადგენას.

4.8.1.2. ტრეფიკინგის მსხვერპლთა სათანადო ინფორმირებულობის აუცილებლობა

დანაშაულის გამოძიების პროცესში სათანადოდ არ ხდება მსხვერპლთა ინფორმირება. ეს უარყოფითად ისახება მსგავსი ტიპის დანაშაულის რეციდივის პრევენციაზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გამომძიებელმა შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს ტრეფიკინგის მსხვერპლს და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, სწორად განუმარტოს საფრთხეები და შესაძლო შედეგები.

4.8.1.3. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოძიების მექანიზმის დახვეწის საჭიროება

ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების ხელშეწყობისთვის აუცილებელია გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების დახვეწა. გარდა ამისა, გამოძიების ეფექტურად წარმართვის მიზნით, მნიშვნელოვანია დაზარალებულებისთვის თანამშრომლობის სათანადო პირობების შექმნა.

4.8.1.4. საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა

საზოგადოება არ არის საკმარისად ინფორმირებული ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შესახებ, რაც პრობლემურ საკითხს წარმოადგენს და აფერხებს, როგორც მის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას, აგრეთვე აღნიშნული დანაშაულის პრევენციას.

4.8.2. 2013 წლის პრიორიტეტები

4.8.2.1. პრევენციული ზომების გაუმჯობესება

ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგი) დაკავშირებული პრევენციული ზომების გაუმჯობესების მიზნით, შსს გეგმავს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, როგორებიცაა: არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეების, მათ შორის, ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება და მათი სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე გავრცელება. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, საჭიროა მასმედიაში საინფორმაციო კამპანიების წარმოება. ასევე, აუცილებელია ტრეფიკინგის მსხვერპლთა ინფორმირებულობის გაზრდა, როგორც თავიანთი უფლებებისა და თავისუფლების, ისე თავშესაფრებისა და მომსახურების სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებით.

4.8.2.2. შსს-ს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება

არსებითი მნიშვნელობა აქვს შსს-ს თანამშრომლებისთვის ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას. აუცილებელია სასწავლო ვიზიტების განხორციელება.

4.8.2.3. გამოძიების მექანიზმების დახვეწა დანაშაულის თანამედროვე ტენდენციების საპასუხოდ

სასურველია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შემთხვევების კონფიდენციალურობის დაცვით, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების დახვეწა. ამ მიზნის მისაღწევად, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია მსგავსი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდაზე.

4.8.2.4. ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება

არსებითი მნიშვნელობა აქვს პარტნიორ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, ოპერატიული თანამშრომლობის გაღრმავებასა და მოლაპარაკებების დაწყებას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროექტი, საქართველოსა და თურქეთის სამართალდამცავი სტრუქტურების ოპერატიული თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ.

4.9. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფცია სხვადასხვა ფორმით ვლინდება და მავნე ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, ამცირებს ნაყოფიერი ინვესტიციების შესაძლებლობებს, ართულებს სიღარიბესთან ბრძოლასა და სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე იწვევს საზოგადოების იმედგაცრუებასა და საჯარო ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაკარგვას. საჯარო სექტორში გატარებულმა რეფორმებმა მკვეთრად გააუმჯობესა მდგომარეობა ქვედა დონეზე, თუმცა საჯარო სამსახური კვლავ კორუფციული გარიგებების მაღალი რისკის ზონად რჩება და „ელიტური კორუფცია“ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

2005 წელს, მიღებულ იქნა საქართველოს პირველი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, რომელიც განახლდა 2010 წელს. 2008 წლიდან, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ქვეყანაში მოქმედებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც მონაწილეობს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საბჭოს შემადგენლობაში შედიან, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები. საბჭო პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, მასში ცვლილებების შეტანასა და შესრულების მონიტორინგზე.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ანტიკორუფციული სააგენტო. მის ფუნქციას სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. სააგენტოს ასევე ევალება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პრევენციული და აღმკვეთი ღონისძიებების გატარება.

აღსანიშნავია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „აღმოსავლეთის პარტნიორობა – ეფექტური მმართველობა და ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ“. პროექტის მიზანია, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის მიზნით, საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ-სახელმწიფოებში მმართველობის ეფექტურობის ზრდა, საჯარო ადმინისტრაციისა და სისხლის სამართლის სექტორების გაძლიერება ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

4.9.1. გამოწვევები

4.9.1.1. „ელიტური კორუფცია“

„ელიტურ კორუფციაში“ საჯარო სექტორის თანამდებობის პირთა ჩართულობის რისკი მუდამ მაღალია. მაღალჩინოსანთა კორუფციულ გარიგებებში ჩართვა ხელს უწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩამოყალიბებას და დიდი ზიანი მოაქვს სახელმწიფოსთვის.

„ელიტური კორუფციის“ გამომწვევი მიზეზებია: სახელმწიფო შესყიდვების არატრანსპარენტულობა, დაურეგულირებელი პრივატიზაციის პროცესი და მონოპოლიზირებული კერძო სექტორი.

4.9.1.2. საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის არასაკმარისი კვალიფიკაცია

არაეფექტური და ნაკლებად გამჭვირვალე საჯარო სექტორი ხელს უწყობს კორუფციული გარიგებების შესაძლებლობების ზრდას. საჯარო სამსახურში კადრების გამჭვირვალედ და სამართლიანად შერჩევისათვის, ნეპოტიზმისა და კორუფციის რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, დახვეწას საჭიროებს, როგორც ადამიანური რესურსების მართვის, ასევე მთლიანად საჯარო სექტორის პოლიტიკა.

4.9.2. 2013 წლის პრიორიტეტები

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი აკისრია შინაგან საქმეთა სამინისტროს. კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობის მიზნით, აუცილებელია კოორდინირებული და მჭიდრო თანამშრომლობა პროკურატურასთან, იუსტიციის სამინისტროსთან და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოსთან. კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტებს წარმოადგენს:

4.9.2.1. კანონმდებლობის დახვეწაში მონაწილეობა

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონმდებლობის დახვეწა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესს უფრო ეფექტურს გახდის. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკისა და სპეციალიზებული ინსტიტუტების, პირველ რიგში, OECD ACN-ის (The Anti-Corruption Network for Eastern Europe and Central Asia) და

GRECO-ს (ევროსაბჭოსთან არსებული სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ, რომელშიც შედიან ევროპის 48 ქვეყანა) რეკომენდაციების გამოყენებას.

4.9.2.2. კომპეტენციის ფარგლებში საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებაში მონაწილეობა

ელიტური კორუფციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მიზნით, საჭიროა, კომპეტენციის ფარგლებში კორუფციის მაღალი რისკის მქონე საჯარო თანამდებობებზე შერჩევის ადეკვატური პროცედურების შემუშავებასა და დანერგვაში მონაწილეობის მიღება.

4.9.2.3. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შსს–ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების პროფესიული მომზადება–გადამზადების მიზნით, ჩატარდება სასწავლო კურსები, რაც გაზრდის თანამშრომელთა შესაძლებლობებს კორუფციული ტიპის დანაშაულთა გამოძიების და მასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

4.9.2.4. პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, გაგრძელდება სპეციალიზებული საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციებისა და აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება.

4.9.2.5. შსს–ს ანტიკორუფციული საქმიანობის გამჭვირვალობა

შსს–ს ანტიკორუფციული საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოებას ექნება ბეჭდური მედიის, ტელევიზიისა და ელექტრონული მასალების საშუალებით საჯარო ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა.

4.10. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა პრაქტიკულად შეცვალა მსოფლიოს დამოკიდებულება ტერორიზმთან და მასთან ბრძოლაში იგი მეტად აქტიური გახადა.

საქართველო გლობალური ანტიტერორისტული კოალიციის აქტიური წევრია და მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ანტიტერორისტულ, სამშვიდობო, სამმებრო-სამამშველო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში.

2011 წელს საქართველოში შეიქმნა უწყებათშორისი კომისია ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე, რომლის ერთ-ერთი წევრი შინაგან საქმეთა სამინისტროა. კომისია პასუხისმგებელია გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციაზე (სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა #1267 და #1373 რეზოლუციებს) და მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით: გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის მიერ განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ფინანსური აქტივების დაყადაღება, ფიზიკური პირებისთვის მგზავრობის აკრძალვა და იარაღზე ემზარგო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული კონტრტერორისტული ცენტრი ახორციელებს ტერორისტული საფრთხეების გამოვლენის, აქტების პრევენციისა და მათ აღმკვეთ კონტრტერორისტულ ღონისძიებებს.

ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, საქართველო არის გაერო-ს 13 კონვენციის, ასევე ევროპის საბჭოს შესაბამისი კონვენციების წევრი და უზრუნველყოფს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას მათ მოთხოვნებთან. უახლოეს პერიოდში იგეგმება გაერო-ს ფარგლებში მიღებული ახალი ანტიტერორისტული კონვენციების სავალდებულოდ აღიარების შესაძლებლობის განხილვა. ასევე, საერთაშორისო, რეგიონულ და ორმხრივ დონეზე საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის ორგანოებთან და პარტნიორ სახელმწიფოებთან. საქართველო „ევროპის სამეზობლო პოლიტიკასა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობას“ მნიშვნელოვან ხელისშემწყობ ფაქტორად მიიჩნევს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელთანაც საქართველოს შემდეგი სახის შეთანხმებები აქვს გაფორმებული: განზრახვლებათა მემორანდუმი „საქართველოსა და აშშ-ს შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობისა და თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ“, შეთანხმება „საქართველოსა და აშშ-ს მთავრობებს შორის ტერორიზმის შეჩერების პროგრამის უზრუნველყოფის შესახებ“, ასევე, საიმპლემენტაციო შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ს ენერჯეტიკის

დეპარტამენტს შორის ბირთვული და სხვა რადიოაქტიური მასალის უკანონო კონტრაბანდის თავიდან აცილებაში თანამშრომლობის შესახებ“.

4.10.1. გამოწვევები

4.10.1.1. ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოს ტერიტორიაზე ოკუპირებული რეგიონების არსებობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის ტერორიზმისთვის. კერძოდ, მნიშვნელოვანი ტერორისტული საფრთხე მომდინარეობს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან. არსებობს ქვეყანაში სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებების ჩრდილო კავკასიიდან შემოღწევის საფრთხეც.

4.10.1.2. იარაღის უკანონო შემოდინების, გავრცელებისა და ტრანზიტის საშიშროება

მაღალია საბრძოლო და ასაფეთქებელი ნივთიერებების გავრცელების საფრთხე, როგორც საქართველოში, ასევე მის მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაციის შექმნის მიზნით. რეგიონული უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, არსებობს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისთვის ქვეყნის ტერიტორიის გამოყენების საშიშროებაც.

4.10.2. 2013 წლის პრიორიტეტები

საქართველოს კონტრტერორისტული პოლიტიკის მიზანია, სახელმწიფოსა და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. აქედან გამომდინარე, 2013 წლისთვის შსს-ს პრიორიტეტებია:

4.10.2.1. საზღვრების უსაფრთხოების განმტკიცება

ტერორისტების მიერ საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტად გამოყენების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია საზღვრის დაცვის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება.

4.10.2.2. შსს–ს კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაძლიერება

პერმანენტულ ხასიათს მიიღებს შსს-ს თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება. ასევე, გაიზრდება კონტრტერორისტული შესაძლებლობები ქვეყნის მასშტაბით მოსალოდნელი ან/და დაგეგმილი

დივერსიული ან/და ტერორისტული აქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმების გასაუმჯობესებლად. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა. ამავდროულად, ყურადღება დაეთმობა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას.

4.10.2.3. თანამშრომლობის გაღრმავება რეგიონულ, ორმხრივ და საერთაშორისო დონეზე

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, საქართველო გააგრძელებს ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, აქტიურად ითანამშრომლებს ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სტრუქტურებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან. აუცილებელია პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება, მონაცემთა მუდმივი და ოპერატიული გაცვლა.

4.10.2.4. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობა

გაგრძელდება ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება ბირთვული და რადიოაქტიური მასალების დამზადებისა და ტრანზიტისთვის.

4.11. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

კიბერუსაფრთხოება 21-ე საუკუნის მნიშვნელოვანი გამოწვევაა და მისი მასშტაბების გათვალისწინებით განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. ეს თავის მხრივ სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორებს შორის აქტიურ თანამშრომლობას მოითხოვს. მნიშვნელოვანია, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც საგრძნობლად შეამცირებს კიბერდანაშაულით გამოწვეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალური ხასიათის საფრთხეებს და შექმნის მეტად უსაფრთხო გარემოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

2008 წელს რუსეთის მიერ ქვეყნის საინფორმაციო ინფრასტრუქტურაზე განხორციელებულმა კიბერშეტევამ ნათლად აჩვენა, თუ რამდენად საზიანო შეიძლება იყოს კიბერთავდასხმა. ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას, როგორც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტს.

2008 წლიდან მოყოლებული ქვეყნის კიბერუსაფრთხოების განსამტკიცებლად დაიწყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. შემუშავდა საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტია. ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და თანხვედრაში მოვიდა „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებულ ნორმებთან. 2010 წელს შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის საკითხების კოორდინირება. ასევე ამოქმედდა კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი (CERT), რომელიც ახორციელებს საქართველოს კიბერსივრცეში ინფორმაციული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ინციდენტების მონიტორინგს. 2012 წლიდან მოქმედებს „საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს კონვენცია „კიბერდანაშაულის შესახებ“. აღნიშნულ სფეროში შსს მჭიდროდ თანამშრომლობს ესტონურ მხარესთან. თანამშრომლობის მიზანია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სამინისტროს თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება. კიბერდანაშაულთან ბრძოლა შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კომპეტენციას წარმოადგენს. ის მჭიდროდ თანამშრომლობს შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტთან, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დანაყოფის ტექნიკურ დახმარებას.

4.11.1. გამოწვევები

შსს-ს მიზანია, შეიქმნას ინფორმაციული უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომელიც ნებისმიერი კიბერთავდასხმის საზიანო შედეგებს მინიმუმამდე შეამცირებს და უმოკლეს დროში შესაძლებელს გახდის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების სრულ აღდგენას.

მიუხედავად გატარებული პოლიტიკისა, ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება სახელმწიფო უწყებებს შორის კვლავაც პრობლემატურია. გამოწვევად რჩება ამ დარგში მომუშავე პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება. პარალელურად, აუცილებელია, მოხდეს ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან.

გამოწვევებს ასევე განეკუთვნება:

4.11.1.1. საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი

კიბერდამნაშავეები აზიანებენ არა მარტო კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემებს, აგრეთვე იყენებენ კიბერსივრცეს სხვადასხვა დანაშაულის ჩასადენად. კიბერდამნაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის მიზნით, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება კიბერსაფრთხეებისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ.

4.11.1.2. ინფორმაციული სისტემების დაუცველობა

საქართველოს პოტენციური მოწინააღმდეგეები ფლობენ კიბერსივრცეში ახალი ომის წარმოების დიდ შესაძლებლობებს. ამასთან, საქართველო კვლავ დგას მასიური კიბერშეტევის რისკის წინაშე. როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო სექტორში, ინფორმაციულ სისტემებზე მზარდი დამოკიდებულების პირობებში, მნიშვნელოვნად იზრდება კიბერტერორიზმის საფრთხეც. კრიტიკული ინფორმაციული სისტემებზე განხორციელებულმა კიბერშეტევებმა შეიძლება საგრძნობი ზიანი მიაყენოს ქვეყნის უსაფრთხოებას.

4.11.1.3. სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის მექანიზმების შემდგომ დახვეწაზე, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციას და ჩადენილ დანაშაულზე დროულ რეაგირებას.

4.11.2. 2013 წლის პრიორიტეტები

4.11.2.1. კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში კოორდინაციის გაუმჯობესება

კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო უწყებების ფუნქციების მკაფიო განსაზღვრა, მთავრობის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისთვის უწყებათშორისი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა და სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სპეციალიზებული დანაყოფის შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნული დანაყოფი ასევე მოიცავს ევროპის საბჭოს „კიბერდანაშაულის შესახებ“ კონვენციით განსაზღვრულ კიბერდანაშაულის საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტს 24/7.

4.11.2.2. შსს-ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვან ნაწილს ამ სფეროში შესაბამისი სპეციალისტების პროფესიული დონის ამაღლება წარმოადგენს. ამ მიზნით, უწყების კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესწავლისათვის, გადამზადდება კიბერდანაშაულის გამოვლენა-აღკვეთაზე მომუშავე კადრები და ტექნიკური პერსონალი. ასევე, მნიშვნელოვანია კიბერდანაშაულის ექსპერტების სპეციალიზებული ტრენინგები ელექტრონული მტკიცებულებების (კიბერ-კრიმინალისტიკის) დარგში.

4.11.2.3. ციფრული მტკიცებულებების საექსპერტო კვლევის განმახორციელებელი დანაყოფის შექმნა

აღნიშნული დანაყოფი უზრუნველყოფს საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებული ციფრული მტკიცებულებების საექსპერტო კვლევას და უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას საგამოძიებო მოქმედებების დროს აღმოჩენილ ციფრული მტკიცებულებების ამოღების პროცესში.

4.11.2.4. კიბერუსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გაგრძელდება კიბერუსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო ინიციატივებში აქტიური

მონაწილეობის მიღება. მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცება და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა, სამინისტროს თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარების მიზნით. ამ გზით, კიბერდანაშაულის შემთხვევების გამოძიება და კიბერთავდასხმების წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ესტონელი პარტნიორების დახმარებით მიმდინარეობს პროექტი „მსს-ს შესაძლებლობების განვითარება კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში“. ასევე, დაგეგმილია სხვა ღონისძიებები პარტნიორი ქვეყნების დახმარებით.

4.11.2.5. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

აუცილებელია კიბერდანაშაულის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის შემდგომი დახვეწის პროცესში, უწყების კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობის მიღება, ასევე 24/7 საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტის ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფა. „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი ნორმატიული ბაზის საფუძველზე, უშუალოდ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელდება ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, რითაც განისაზღვრება ის ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია ინფორმაციული სისტემების დაცვის ხარისხის ამაღლებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

4.12. ხარისხიანი მომსახურების გაწევა

4.12.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მომსახურების სააგენტო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოქალაქეთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა მომსახურების სააგენტო. სააგენტოს შექმნა მიზნად ისახავდა თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებითა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით ყველა მომსახურების ერთ სივრცეში გაერთიანებას.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია სატრანსპორტო საშუალებებზე საბაჟო პროცედურების განხორციელება, სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია, მართვის უფლების მინიჭება და მართვის მოწმობის გაცემა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

სააგენტოში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული საქმის წარმოების სისტემა. შექმნილია ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც შესაბამისი პროგრამების მეშვეობით მომსახურების სააგენტოს ყველა დანაყოფს დროის რეალურ რეჟიმში ერთმანეთთან ეფექტური თანამშრომლობის საშუალებას აძლევს. აღსანიშნავია, რომ სააგენტოში არ არსებობს მომსახურების გაწევის ტერიტორიული პრინციპი. მოქალაქეს მომსახურების მისაღებად უფლება აქვს მიმართოს სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ დანაყოფს, თავისი საცხოვრებელი ან რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა პარალელურად დანერგილია ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურაში, რომლის ინფორმაციამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომსახურების გაწევაზე. კერძოდ, შექმნილი ელექტრონული სერვერების მეშვეობით ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა შინაგან საქმეთა, იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროების სისტემაში შემავალ სტრუქტურებთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან.

4.12.1.1. გამოწვევა: მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

გაუმჯობესებული მომსახურების მზარდი მოთხოვნის პირობებში, აუცილებელია ხარისხის არსებული სტანდარტის მუდმივი დახვეწა. მნიშვნელოვანია ბიუროკრატიული ბარიერების შემდგომი შესუსტების პროცესის გაგრძელება და თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება. სააგენტოს მიერ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებზე ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად, უნდა განხორციელდეს არსებული შესაძლებლობების ანალიზი, რაზე

დაყრდნობითაც მოხდება სააგენტოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია დაიხვეწოს არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს სააგენტოს მომსახურების სფეროს განვითარებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

4.12.1.2. 2013 წლის პრიორიტეტები

4.12.1.2.1. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

საზოგადოებრივი მოთხოვნილებების საპასუხოდ, პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება მომსახურების არსებული მექანიზმების გაუმჯობესება და დივერსიფიკაცია, ასევე ტექნოლოგიური და მატერიალური შესაძლებლობების განვითარება.

4.12.1.2.2. ეროვნული მართვის მოწმობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება

მიმდინარეობს ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობა, ქართული მართვის მოწმობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, რაც კიდევ უფრო გაზრდის საერთაშორისო დონეზე მოწმობის აღიარების მაჩვენებელს.

4.12.1.2.3. ეროვნული რეგისტრაციის მოწმობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება

2013 წელს დაგეგმილია ტრანსპორტის რეგისტრაციის მოწმობის ნიმუშის შეცვლა. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და თანამედროვე დიზაინის მქონე სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის მოწმობის შემოღებას, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით უპასუხებს საერთაშორისო მოთხოვნებს. ახალი ნიმუშის მოწმობის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების, ასევე საქართველოში პრაქტიკული გამოყენების შედეგად მიღებული გამოცდილება.

4.12.1.2.4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურება

2013 წელს დაგეგმილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის უფლების მინიჭების პროცედურის დახვეწა და მისი ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან, რაც მიზნად ისახავს

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაზრდას.

4.12.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“ 2011 წლიდან ფუნქციონირებს და მისი ძირითადი ფუნქციაა ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ სატელეფონო შეტყობინებების, ერთიანი საგანგებო ნომერით „112“ მიღება. „112“-ის მეშვეობით შესაძლებელი გახდა სამი დამოუკიდებელი გადაუდებელი დახმარების ნომრის (სამაშველო, საპატრულო და სამედიცინო) გაერთიანება. აღნიშნული სისტემის ჩამოყალიბებისას, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ევროკავშირის გამოცდილებაზე, რომელიც ითვალისწინებს გადაუდებელ და საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობისათვის მაღალი დონის და მარტივად ხელმისაწვდომი დახმარების აღმოჩენას.

სისტემის დანერგვას წინ უსწრებდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა გადაუდებელი დახმარების საჭიროების შესახებ სატელეფონო შეტყობინებების ერთიან სისტემაში ეტაპობრივი გადმორთვა. შესაბამისად, გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის „112“-ის მეშვეობით მთელი საქართველოდან შესაძლებელია ზარების მიღება საპატრულო პოლიციის, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სახანძრო სამაშველო სამსახურების დახმარების საჭიროების შესახებ.

4.12.2.1. გამოწვევები

იმის გათვალისწინებით, რომ შსს სსიპ „112“ ახლად ჩამოყალიბებული სისტემაა, იგი გარკვეული სახის გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა აღმოფხვრა კიდევ უფრო გაზრდის მის ეფექტურობის ხარისხს.

4.12.2.1.1. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მდგრადი სარეზერვო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა

სისტემის სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია სარეზერვო რეგიონული ოფისის შექმნა, რომელიც ერთი მხრივ, მოემსახურება საქართველოს განსაზღვრულ ტერიტორიას, ხოლო მეორე მხრივ, ცენტრალური ოფისის ავარიული გათიშვის შემთხვევაში უზრუნველყოფს ზარების სრულად მიღებას.

4.12.2.1.2. ინიციატორის ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობა

ინიციატორის ადგილსამყოფელის დადგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როცა ინიციატორმა არ იცის თავისი ადგილსამყოფელი ან სხვადასხვა მიზეზების გამო ამ ინფორმაციის ამოღება შეუძლებელია მისგან.

4.12.2.1.3. სისტემის ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის

არსებული სისტემა არ იძლევა შესაძლებლობას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა (სმენადაქვეითებული და მეტყველების პრობლემების მქონე პირები) საგანგებო ნომრით დაუბრკოლებლად ისარგებლონ.

4.12.2.1.4. ერთიანი საგანგებო ნომრის „112“-ის არასაკმარისი ცნობადობა

დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ერთიანი საგანგებო ნომრის „112“-ის არსებობის შესახებ.

4.12.2.1.5. არასაგანგებო ხასიათის ზარების დიდი რაოდენობა

მოსახლეობის მიერ ხშირად ხდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ნომერის არამიზნობრივი გამოყენება („112“-ზე შემოდის დიდი რაოდენობის არასაგანგებო ხასიათის შეტყობინებები). არასაგანგებო ხასიათის ზარები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გადაუდებელი დახმარების მართვის სისტემაში ჩართული სამსახურების ეფექტურ ფუნქციონირებას.

4.12.2.1.6. კვალიფიციური კადრების შენარჩუნება

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტური სისტემის აუცილებელი კომპონენტია კვალიფიციური კადრების არსებობა. მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ერთი მხრივ თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

4.12.2.2. 2013 წლის პრიორიტეტები

არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებზე ეფექტური რეაგირებისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-თვის განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

4.12.2.2.1. სისტემის მდგრადობის გაზრდა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

სხვადასხვა კრიტიკული ხასიათის პრობლემების დროს, „112“-ის უწყვეტი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ზარების მიღების სარეზერვო გეგმის განვითარება და ქსელის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

„112“-ის საინფორმაციო სისტემის განტვირთვისა და წარმადობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა შეტყობინებების მიღების პროცესში. ეს აგრეთვე გაამარტივებს „112“-ის სერვისთან სხვადასხვა ოპერაციული სისტემის მქონე მობილური ტელეფონების მფლობელების დაკავშირებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის „112“-ის სერვისით სარგებლობის გამარტივებისათვის მნიშვნელოვანია შეტყობინებების მიღების სისტემის ადაპტაცია.

აუცილებელია ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის განსაზღვრის სისტემის შექმნაზე მუშაობის დაწყება.

4.12.2.2.2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და არასაგანგებო ხასიათის ზარების რაოდენობის შემცირება

მნიშვნელოვანია მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა „112“-ის, როგორც ერთიანი საგანგებო სიტუაციების ნომრის, ცნობადობის შესახებ. სარეკლამო კამპანიებისა და სოციალური მედიის გამოყენებით, ყურადღება უნდა დაეთმოს მიზანშეწონილი ბავშვების ცნობიერების გაზრდას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სისტემის შესახებ. აღნიშნული ღონისძიებით შემცირდება არასაგანგებო ზარების განმახორციელებელთა რაოდენობა და შესაბამისად, გაიზრდება კომუნიკაციის ხარისხი და მასშტაბი.

აუცილებელია, სასკოლო ასაკის ბავშვებში საგანგებო სიტუაციების ერთიანი სისტემის შესახებ ცნობიერების გაზრდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

გაძლიერდება საგანგებო სიტუაციების ცენტრებთან საერთაშორისო თანამშრომლობა.

4.12.2.2.3. მომსახურების ხარისხის გაზრდა

მნიშვნელოვანია, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ეტაპობრივი ზრდა მათი განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოში.

მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის დახვეწის ფარგლებში, მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხის მუდმივი კონტროლი და კონტროლის

სისტემის შემდგომი განვითარება. ეს ასევე უზრუნველყოფს სამუშაო სტანდარტებისა და პროცედურების ანალიტიკურ და სტატისტიკურ მონაცემებზე დამყარებას.

4.12.3. დაცვის პოლიცია

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია. მისი მთავარი ამოცანაა, მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის მშვიდი და ჯანსაღი გარემოს შექმნა. ეს ხორციელდება მომსახურების ხარისხისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეტაპობრივი დანერგვითა და მუდმივი განვითარებით.

შსს-ს მიერ სისტემატურად ხორციელდება ქვეყნის დაცული ობიექტების სტატისტიკის მონიტორინგი. არსებული შესაძლებლობების ანალიზის შედეგად, განისაზღვრება სამომავლო პრიორიტეტები.

4.12.3.1. გამოწვევები

4.12.3.1.1. გაზრდილი მოთხოვნა მომსახურებაზე

ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა დაცული ობიექტების რაოდენობა, რაც მიუთითებს აღნიშნული მიმართულებით დაცვის პოლიციის მომსახურების გაუმჯობესებისა და გამარტივების აუცილებლობაზე.

4.12.3.1.2. შესაძლებლობების გაუმჯობესება

მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ, აუცილებელია დაცვის პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და შესაძლებლობების მუდმივი განვითარება.

4.12.3.2. 2013 წლის პრიორიტეტები

4.12.3.2.1. კვლევების ჩატარება საზოგადოების საჭიროებების განსაზღვრისთვის

შსს-ს დაცვის პოლიცია ორიენტირებულია საზოგადოებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და მომსახურების მიწოდების მექანიზმების გაუმჯობესებასა და თანამედროვე ტექნოლოგიური ბაზების განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, 2013 წლიდან განხორციელდება შესაძლებლობების ანალიზი, რომელიც გამოავლენს

დაცვის პოლიციის სუსტ და ძლიერ მხარეებს და დაცვითი მომსახურების ბაზარზე არსებულ ზოგად მდგომარეობას. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, დაგეგმილია სხვადასხვა პროექტების განხორციელება პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

4.12.3.2.2. მომსახურების დივერსიფიკაცია და ხარისხის გაუმჯობესება

დაგეგმილია არსებული ტექნიკური აღჭურვილობის მოდერნიზაცია და განახლება. განხორციელდება ერთობლივი პროექტები სადაზღვევო კომპანიებთან და მოხდება არსებული მომსახურების სფეროების დივერსიფიკაცია, რაც გულისხმობს გაზის დეტექტორების პროექტის განხორციელებას, GPS-ის სისტემის განვითარებასა და სათვალთვალ კამერების პროექტის შემუშავებას. ამავდროულად, შეიქმნება ერთიანი CRM ბაზა და მოხდება არსებული ელექტრონული ბაზის ახალი სრულყოფილი ელექტრონული ბაზით ჩანაცვლება. გამარტივდება „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის პროცედურები.

4.12.3.2.3. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

კვალიფიკაციის და ტექნიკური უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია სპეციალური სასწავლო პროგრამის მომზადება, რომელსაც ტექნიკური სამსახურის ყველა სპეციალისტი გაივლის. ასევე, დაგეგმილია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის თანამშრომლების ტრენინგები ეფექტური კომუნიკაციების, ეფექტური გაყიდვებისა და “სერვის+”, PR კომუნიკაციების, პროექტების მართვისა და ენის კურსების განხრით.

4.12.3.2.4. დაცვის პოლიციის ცნობადობის გაზრდა

დაგეგმილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც მიმართულია საზოგადოებაში დაცვის პოლიციის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებაზე.

- ახალი ლოგოსა და კორპორაციული სტილის შემუშავება;
- დპდ-ს ოფისების და სატრანსპორტო საშუალებების ვიზუალიზაცია და ერთიან კორპორაციულ სტილზე მორგება;
- ახალი ვებგვერდის შექმნა.

4.13. საქართველოს შსს-ს აკადემიის შესაძლებლობების განვითარება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფს უწყების საგანმანათლებლო პროცესს. იგი აწყოფს და წარმართავს სპეციალიზებულ კურსებს სხვადასხვა დანაყოფებისთვის, რეგულარულ შიდასამსახურებრივ სწავლებას პოლიციის ოფიცრებისთვის.

აკადემიის სასწავლო პროგრამაში შემავალი საბაზისო კურსებია:

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დეტექტივ-გამომძიებლისა და ინსპექტორ-გამომძიებელთა მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა;
- მეხანძრე-მაშველთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

აგრეთვე, აკადემიას შემუშავებული აქვს შემდეგი სპეცკურსები:

- იარაღის გამოყენებისა და შენახვის წესების სპეციალური კურსი;
- უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი კურსი;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საკონტრაქტო სამსახურის მესაზღვრეთა სპეციალური საბაზისო მომზადების კურსი;
- წვევამდელის სპეციალური მომზადების კურსი;
- ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ტერიტორიული ორგანოების და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სახაზო დანაყოფებში თანამშრომელთა დაწინაურების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოფიცერთა გადამზადების კურსი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ აკადემია ასევე უზრუნველყოფს ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა ორგანოებისთვის/დაწესებულებებისთვის სპეციალისტთა მოსამზადებლად შესაბამისი სასწავლო კურსების ორგანიზებასა და განხორციელებას:

- შემოსავლების სამსახურის საბაჟო-გამშვები პუნქტის სტაჟიორთა საბაზისო მომზადების კურსი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურთა გადამზადების კურსი;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელთა სპეციალური გადამზადების კურსი და სხვა.

აკადემიაში გატარებული რეფორმების შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა და განახლდა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით, განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, დაინერგა თანამედროვე, ინტერაქტიული სწავლების მეთოდოლოგია. აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო ქვეყნების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის, მუდმივად მიმდინარეობს აკადემიის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. დღეისათვის, აკადემია სპეციალური პროფესიული განათლების სფეროში ახორციელებს სწავლების მიმართულებების, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებას.

4.13.1. გამოწვევები

4.13.1.1. პროფესიული პროგრამების შესაბამისობა და ხანგრძლივობა

პროფესიული პროგრამები არ არის შედეგზე ორიენტირებული. მათში ვერ ხერხდება საბოლოო შედეგების განსაზღვრა. არ არსებობს პროგრამების არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მექანიზმები. ეს კი, თავის მხრივ, აფერხებს ნაკლოვანი და სუსტი მხარეების გამოვლენასა და მათ გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოკლევადიანია და ორიენტირებულია კადრების სწრაფ მომზადება-გადამზადებაზე, რაც ნეგატიურად ისახება თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

4.13.1.2. აკადემიის სწავლების შეზღუდული შესაძლებლობები

აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მასშტაბი სრულად ვერ აკმაყოფილებს შსს-ს მრავალრიცხოვანი კონტინგენტის მომზადება-გადამზადებას. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას შსს-ს რეგიონულ ქვედანაყოფთა პირადი შემადგენლობის ადგილზე გადამზადების აუცილებლობა.

4.13.1.3. არსებული შეფასების სისტემის არაადეკვატურობა

არსებული შეფასების სისტემა არ იძლევა ცოდნის თანმიმდევრული და ობიექტური შეფასების შესაძლებლობას. ასევე, მსმენელთა საწარმოო პრაქტიკის შეფასების ფარგლებში, ვერ ხერხდება სამუშაო ადგილზე მათი უნარ-ჩვევების და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გამოვლენა.

4.13.1.4. დასახვეწი ერთიანი მონაცემთა ბაზა

მსმენელთა აღრიცხვის ერთიანი ბაზა არ იძლევა სრულ ინფორმაციას აკადემიის კურსდამთავრებულთა შესახებ. არ არსებობს მონაცემთა ფილტრაციის შესაძლებლობა.

4.13.1.5. საკადრო საკითხები

პედაგოგთა აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს მხოლოდ სალექციო სამუშაო გამოცდილება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აკადემიაში არსებულ მეხანძრე-მაშველთა სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გათვალისწინებული არ არის შესაბამისი საშუალო ერთეული.

4.13.1.6. გასაუმჯობესებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სასწავლო მომზადების პრაქტიკული ნაწილი არასრულად არის უზრუნველყოფილი სათანადო ინვენტარით. აკადემიის ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი შენობა-ნაგებობა ნაწილობრივ განახლებას საჭიროებს.

4.13.2. 2013 წლის პრიორიტეტები

4.13.2.1. სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადამუშავება

გაიზრდება პროგრამების ხანგრძლივობა, სასწავლო კურსების მოცულობისა და პრაქტიკული კომპონენტის გაზრდის ხარჯზე. დაინერგება პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები, რაც შესაძლებელს გახდის ნაკლოვანებების გამოვლენასა და შესაბამისი ცვლილებების ასახვას სასწავლო პროცესში.

4.13.2.2. შეფასების ერთიანი სისტემის შემუშავება

ეს სისტემა დაეფუძნება მსმენელის, როგორც თეორიული, აგრეთვე პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს. შეფასების განსხვავებული კრიტერიუმის გამოყენება დასაშვებია იქნება წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

4.13.2.3. მსმენელთა აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული ბაზის შემუშავება

აღნიშნული ბაზა გათვლილი იქნება მრავალ მომხმარებელზე (ლექტორებსა და მსმენელებზე). ბაზის სათანადო მონაცემებით აღჭურვა გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მსმენელთა შეფასებას.

4.13.2.4. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება

აკადემიის პერსონალისთვის იგეგმება მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავების მიზნით, მათი ეტაპობრივი მივლინება ადგილებზე. ასევე, შემუშავდება პროექტი პედაგოგთა როტაციული სისტემით ჩანაცვლების შესახებ.

4.13.2.5. მობილური ტრენინგ ჯგუფების ჩამოყალიბება

აკადემიის ბაზაზე ჩამოყალიბდება მობილური ტრენინგ ჯგუფები. აღნიშნული ჯგუფები, საჭიროების მიხედვით, ადგილზე განახორციელებენ შსს-ს რეგიონული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.

4.13.2.6. მეხანძრე-მაშველ სპეციალისტთა მოზიდვა

აკადემიაში იგეგმება მეხანძრე-მაშველთა კურსის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება.

4.13.2.7. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

სასწავლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით დაგეგმილია ახალი ინვენტარის, მათ შორის, ტექნიკური მომზადებისათვის საჭირო პოლიციის აღჭურვილობის შეძენა. ასევე, განახლდება და აღიჭურვება კრიმინალისტიკური ლაბორატორია. გაიზრდება წიგნების ფონდი ბიბლიოთეკაში და დაიწყება ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე მუშაობა.

4.13.2.8. პოლიციის მოდელირებული განყოფილების შექმნა

რეფორმის ფარგლებში, პოლიციის საქმიანობის შემდგომი დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნება პოლიციის მოდელირებული განყოფილება. ამ წამოწყების მიზანია ახალი წესებისა და პროცედურების რეალურ სიტუაციაში გამოცდა. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს აკადემიაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით გამყარებას.

4.14. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საერთაშორისო თანამშრომლობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. იგი პირდაპირ კავშირშია რეფორმების პროცესების მხარდაჭერასთან და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების შესაძლებლობების განვითარებასთან.

სამინისტრო საერთაშორისო თანამშრომლობას ახორციელებს ოპერატიული და არაოპერატიული მიმართულებით.

ოპერატიული თანამშრომლობა მოიცავს: საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი ოპერაციების ჩატარებას და სხვა მსგავს საკითხებს, რომლებიც ხორციელდება პოლიციის ატაშეების, ორმხრივი ხელშეკრულებების, ნაცვალგების პრინციპის და საერთაშორისო, მათ შორის, რეგიონული ორგანიზაციების მეშვეობით.

არაოპერატიული თანამშრომლობა ფარავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება, ერთობლივი პროექტები, ღონისძიებები, გამოცდილების გაზიარება, დონორთა კოორდინაცია, ტრენინგები, ერთობლივი სამოქმედო გეგმების განხორციელება, შესრულების ანგარიშების მომზადება და სხვა.

საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ინსტრუმენტებით აღებული ვალდებულებების შესრულებისას, აგრეთვე რეფორმების პროცესების მხარდაჭერისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების შესაძლებლობების განვითარებისას, სამინისტროს აქტიურ დახმარებას უწევს შემდეგი სტრატეგიული პარტნიორები/დონორები: ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და თურქეთის რესპუბლიკა.

სამინისტრო თანამშრომლობს აშშ-სთან სამართალდამცავ სფეროში არსებული შეთანხმებების, მათზე დაფუძნებული პროექტების და ასევე აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში.

საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, შსს აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის ინსტრუმენტების მეშვეობით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის მარეგულირებელი ჩარჩო-შეთანხმება არის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება“ (PCA), რომელსაც მოლაპარაკებების დასრულებისა და ძალაში შესვლის შემდეგ ჩაანაცვლებს ასოცირების შესახებ შეთანხმება. აგრეთვე, შსს აქტიურად ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამუშაო პროგრამების, „პარტნიორობა მობილურობისათვის“ პროგრამისა და რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შსს ჩართულია წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელების პროცესში, რომელიც ნატო–ში ინტეგრაციის პროცესის პრაქტიკულ ინსტრუმენტს წარმოადგენს და განსაზღვრავს მასში მონაწილე უწყებების განვითარების მიმართულებებს. სამინისტრო ასევე ჩართულია დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში (PARP), რომელიც წარმოადგენს ნატო–სთან თავსებადობის ამაღლებისა და შეიარაღებული ძალების რეფორმირების პროცესში შესაძლებლობების შეფასების ინსტრუმენტს. შესაბამისად, შსს დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში ძირითადად სანაპირო დაცვის საკითხებით არის წარმოდგენილი.

ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა. ამ მიმართულებით, სამინისტრო ახორციელებს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების მომზადებასა და დადებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. მის კომპეტენციაში შედის მათ შესრულებაზე მონიტორინგიც. საქართველო გაწევრიანებულია ისეთ რეგიონულ ორგანიზაციებში, როგორებიცაა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC) და დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია (GUAM). საქართველო დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით თანამშრომლობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სამართალდამცავ ცენტრთან (SELEC). ამასთანავე, არსებობს გარკვეული სახის ურთიერთობები ევროკავშირის სპეციალიზებულ დაწესებულებასთან Europol–თან. შსს–ს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა ხორციელდება ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საშუალებითაც, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო ვალდებულებებისა და ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე ხდება ინფორმაციის გაცვლა უცხო ქვეყნებთან, პოლიციის ატაშეების თანამშრომლობა, სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მიღება და მათი საქმიანობის მონიტორინგი.

4.14.1. 2013 წლის პრიორიტეტები

საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან შედეგზე ორიენტირებულ მჭიდრო თანამშრომლობას უდიდეს ყურადღებას უთმობს.

4.14.1.1. ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება

ევროკავშირთან თანამშრომლობის პროცესი და მასთან ეტაპობრივი ინტეგრაცია საქართველოს მშვიდობიანი განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. აღნიშნული პროცესის დაჩქარების მიზნით, მიმდინარე ვალდებულების

ეფექტურად შესრულება და თანამშრომლობის ახალი მექანიზმების შეთანხმება შს–ს, როგორც საზოგადოებრივი წესრიგისა და მისი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მთავარი ორგანოს, უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამ მიმართულებით დაგეგმილია:

4.14.1.1.1. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, შს–ს კომპეტენციაში შემავალი ვალდებულებების შესრულება

შსს აქტიურად გააგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რაც ხელს შეუწყობს შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობას და ურთიერთობის გაღრმავებას;

4.14.1.1.2. ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება

შსს გააგრძელებს ასოცირების შეთანხმებისა და მის კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხების შესახებ მოლაპარაკებებში მონაწილეობას. აგრეთვე, კოორდინაციას გაუწევს II სამუშაო ჯგუფის „სამართალი, თავისუფლება, უსაფრთხოება“ საქმიანობას. 2013 წელს იგეგმება „ასოცირების დღის წესრიგის“ დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ჩაანაცვლებს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას. იგი განსაზღვრავს ევროკავშირთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროებს და მომავალ სამოქმედო გეგმას ქვეყნისთვის;

4.14.1.1.3. ევროკავშირთან სავიზო დიალოგის ფარგლებში შსს-ს კომპეტენციაში შემავალი საკითხების კოორდინაცია

ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მიგრაციისა და საზღვრის მართვის სფეროში აღებული ვალდებულებების იმპლემენტაციასა და მონიტორინგს; გაგრძელდება ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებთან რეადმისიის შეთანხმების იმპლემენტაცია, საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმება და მესამე სახელმწიფოებთან რეადმისიის შეთანხმების დადება; გაგრძელდება ინტეგრირებული საზღვრის მართვის საფლაგმანო ინიციატივაში მონაწილეობა;

4.14.1.1.4. აღმოსავლეთ პარტნიორობის „საგზაო რუკებით“ აღებული ვალდებულებების შესრულება

გაგრძელდება ორმხრივი და მრავალმხრივი „საგზაო რუკებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ურთიერთობებს შსს-სა და ევროპულ სტრუქტურებს შორის;

4.14.1.1.5. ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებთან თანამშრომლობის გაღრმავება

2013 წლისთვის შსს-ს პრიორიტეტს წარმოადგენს EUROPOL-თან თანამშრომლობის განვითარება, CEPOL და FRONTEX-თან არსებული თანამშრომლობის გაღრმავება.

4.14.1.2. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავება

შსს გააგრძელებს წლიური სამოქმედო პროგრამის (ANP) და დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ეს ვალდებულებები მოიცავს: 1) ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში თანამშრომლობას, სხვადასხვა სპეციალურ პროგრამებში მონაწილეობას, ინფორმაციის გაცვლასა და მეკავშირე ოფიცრის მივლინებას; 2) საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულებით, ეროვნული რეაგირების გეგმისა და სექტორული რეაგირების გეგმების დახვეწასა და განახლებას, რისკების მართვისა და კატასტროფების პრევენციის მექანიზმების დანერგვას; 3) შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებას; 4) სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

4.14.1.3. თანამშრომლობის გაღრმავება აშშ-ს შესაბამის სტრუქტურებთან

აშშ-ს, როგორც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს, დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სამართალდამცავ სფეროში რეფორმების ხელშეწყობასა და განხორციელებაში. შესაბამისად, ქვეყნის უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების კუთხით, აშშ-სთან თანამშრომლობა (ოპერატიულ და არაოპერატიულ დონეებზე) შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. თანამშრომლობა ეფუძნება სამართალდამცავ სფეროში არსებულ შეთანხმებებსა და მათგან გამომდინარე პროექტებს. ამ მხრივ, 2013 წელს მნიშვნელოვანია:

4.14.1.3.1. აშშ-სთან სამართალდამცავ სფეროში დადებული შეთანხმებების იმპლემენტაცია

აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში, შსს გააგრძელებს თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებული შეხვედრების გამართვას და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობას; აგრეთვე, აღსანიშნავია „საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს მთავრობას შორის ნარკოტიკების

კონტროლისა და კანონიერების განმტკიცების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ და მისი შესწორებების ყოველწლიური იმპლემენტაცია.

4.14.1.3.2. თანამშრომლობის გაგრძელება სამართალდამცავ სფეროში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში

შინაგან საქმეთა სამინისტრო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამერიკული პროექტების მხარდაჭერით უწყების შესაძლებლობების განვითარებას. ამ პროექტების მხარდაჭერით მოხდება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ჩამოყალიბების დაწყება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამერიკელი პარტნიორების მხარდაჭერით დაიწყებს უწყებაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებას და სტანდარტული წესებისა და პროცედურების ინსტიტუციონალიზაციას.

4.14.1.4. საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაღრმავება

შსს-ს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის განვითარება ხორციელდება სამი მნიშვნელოვანი კუთხით: 1) საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება; 2) რეგიონული თანამშრომლობა; 3) ორმხრივი თანამშრომლობა. საერთაშორისო თანამშრომლობა მრავალმხრივ/ორმხრივ ფორმატში ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ევროკავშირი-საქართველოს რეადმისიის შეთანხმების განხორციელება, მისი საიმპლემენტაციო ოქმების ხელმოწერა და სხვა ქვეყნებთან რეადმისიის შეთანხმებების გაფორმება.

4.14.1.4.1. საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება

საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებისა და განვითარებისათვის გაგრძელდება ორმხრივი/მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან, ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორებიცაა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში/პოლიციის სფეროში თანამშრომლობა, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის სფეროში თანამშრომლობა, საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობა, მართვის მოწმობების ურთიერთაღიარება, ევროკავშირთან დადებული რეადმისიის შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. ასევე, პრიორიტეტული საკითხია გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაცია და სამართალდამცავი სფეროს მარეგულირებელი შიდა

სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველოს მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანამშრომლობის დებულებების ქვეყნის კანონმდებლობაში ასახვის მიზნით, აგრეთვე, პოლიციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის, მზადდება შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი. ის ეროვნულ დონეზე დაარეგულირებს სამართალდამცავ სფეროში არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის წესებსა და პროცედურებს. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი შექმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებისთვის და უზრუნველყოფს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

4.14.1.4.2. რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება

გაგრძელდება რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება ორგანიზებულ დანაშაულთან, კერძოდ, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არსებული ფორმატების (GUAM, BSEC, SELEC და Europol) გამოყენება, მათი შემდგომი განვითარება და გაღრმავება. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს საქართველო GUAM-ის თავმჯდომარე ქვეყანას წარმოადგენს. ამ ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია თანამშრომლობა სამართალდაცვითი, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის, ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში, რაც შსს-ს რეგიონული თანამშრომლობის კუთხით მოქმედების მეტ საშუალებას მისცემს. GUAM-ის ფორმატში გაგრძელდება ყოველწლიური ერთობლივი ოპერაციები ნარკოტიკებისა და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ.

4.14.1.4.3. ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება

შსს-ს საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ორმხრივი თანამშრომლობის დამყარება, განვითარება და გაღრმავება. აღნიშნული თანამშრომლობა განხორციელდება არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით: შსს-ს კომპეტენციაში შემავალი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, თანამშრომლობის პროგრამების მომზადება და განხორციელება; შსს-ს კომპეტენციით ახალი ხელშეკრულებების დადების ინიცირება; ორმხრივ ფორმატში სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ჩატარების უზრუნველყოფა და მათ მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმების იმპლემენტაცია.

4.14.1.5. გამოცდილების გაზიარება

საქართველოს პოლიციის რეფორმამ და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში მიღწეულმა შედეგებმა, სხვა ქვეყნებზე დააინტერესა საკუთარი სისტემების განახლებაში. ამის გათვალისწინებით, შსს-ს აქვს შესაძლებლობა სხვებსაც ასწავლოს და გაუზიაროს პოლიციის რეფორმის განხორციელების გამოცდილება. 2013 წელს ეს აქტივობა განხორციელდება სასწავლო ვიზიტების, ექსპერტთა მისიების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზების გზით, ორმხრივად დაინტერესებულ ქვეყნებთან, თუ დონორი/საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით.

4.14.1.6. დონორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან კოორდინაციის გაგრძელება

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ხელს შეუწყობს თავისი ქვედანაყოფების საქმიანობის უკეთ განხორციელებას, რაც მიიღწევა დონორთა კოორდინაციით. ამ მიზნით გაგრძელდება:

- საჭიროებების წარდგენა ყოველწლიურ დონორთა კონფერენციაზე, თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით;
- საპროექტო წინადადების მომზადება;
- ევროკავშირის პროექტების/პროგრამების (TAIEX, TWINNING, SIGMA) გამოყენება;
- პროექტის შედეგების და პროექტის ფარგლებში გადამზადებული კადრების შესახებ საინფორმაციო ბაზის წარმოება.

5. დასკვნითი დებულებები

2012 წლის ნოემბრიდან შსს-ს სისტემის დეპოლიტიზების მიზნით, სამინისტროში მნიშვნელოვანი რესტრუქტურირება განხორციელდა. გაუქმდა კონსტიტუციური უსაფრთხოების (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული (სოდ-ი) დეპარტამენტები, რომლებიც პოლიციური სახელმწიფოს საფუძვლებს წარმოადგენდნენ. კუდ-ში აღრეული იყო პოლიციური და სახელმწიფო უსაფრთხოების ფუნქციები, არ არსებობდა მათი სამართლებრივი რეგულირების რაიმე მექანიზმი. კუდ-ის ნაცვლად შეიქმნა ანტიკორუფციული და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები. სოდ-ი ახდენდა კრიმინალური პოლიციის ფუნქციების დუბლირებას. რეორგანიზაციის შედეგად ამ ფუნქციებს მხოლოდ ცენტრალური კრიმინალური პოლიცია განახორციელებს.

სამინისტროს სისტემაში რეფორმების გატარების მიზნით, შეიქმნა რეფორმებისა და განვითარების სააგენტო. რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბება. ეს პოლიციისა და საზოგადოების თანამშრომლობის ახლებურ ხედვას წარმოადგენს, რომელიც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში პასუხისმგებლობის გადანაწილებას და მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს. შსს-ს სისტემა გახდება უფრო გამჭვირვალე და მის საქმიანობაში გაიზრდება საზოგადოების ჩართულობაც. რეფორმის ფარგლებში, მოხდება პირადი შემადგენლობის საქმიანობის წესებისა და პროცედურების ინსტიტუციონალიზაცია. დიდი ყურადღება დაეთმობა უწყებაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, რაც დახვეწს თანამშრომლების სამსახურში მიღების, წახალისებისა და დაწინაურების პროცედურებს. სამინისტრო ასევე უზრუნველყოფს დასაქმების თანაბარი პირობების ხელმისაწვდომობას განურჩევლად სქესისა, ეთნიკური კუთვნილებისა და რელიგიური მრწამსისა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, მისი საქმიანობის განხორციელებისას მაქსიმალურად დაიცვას ადამიანის უფლებები. ნებისმიერი საპოლიციო ღონისძიება უნდა ემყარებოდეს კანონიერების, პროვენების პატივისა და ღირსების, ჰუმანურობისა და საჯაროობის დაცვის პრინციპებს. რეფორმის შედეგად სამინისტრო უზრუნველყოფს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

შსს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელი. ხშირია ოჯახური ძალადობის ფაქტებიც, ნარკოტიკული და

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში შსს პრიორიტეტს ანიჭებს პრევენციული ღონისძიებების გატარებას. პრევენციის წარმატებით განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისა და პოლიციის ერთობლივ ძალისხმევას. მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შსს-ს პრიორიტეტებს განეკუთვნება: საზოგადოებრივი თვითშეგნების ამაღლება და მასთან ურთიერთობების გააქტიურება, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, საზოგადოებაში პოლიციის ხილვადობის გაზრდა და სხვა.

საგზაო უსაფრთხოება მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ქვეყანაში საკმაოდ მაღალია გადაჭარბებული სიჩქარის, ალკოჰოლური ზემოქმედების, დაუდევრობისა და სხვა ფაქტორების შედეგად გამოწვეული ავტოკატასტროფების რიცხვი. აქედან გამომდინარე, კვლავაც დიდია სიკვდილიანობის, სხეულის დაზიანებისა და მატერიალური ზარალის მაჩვენებელი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შსს-ს ამოცანაა ავტოკატასტროფების რიცხვის და ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული შედეგების სიმძიმის შემცირება. შესაბამისად, შსს დიდ ყურადღებას დაუთმობს საინფორმაციო კამპანიების წარმოებას საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით. ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციისთვის აგრეთვე მნიშვნელოვანია საგზაო უსაფრთხოების სისტემების დანერგვა-მოდერნიზაცია და საპატრულო პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

შსს-ს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით, სამინისტროს წინაშე მდგარი გამოწვევებიდან საყურადღებოა მოძველებული სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და საზღვრის დაცვის საინჟინრო-ტექნიკური მოწყობა. გასათვალისწინებელია სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე მიგრაციული ნაკადების ზრდის ტენდენცია. საზღვაო მიმართულებით აღსანიშნავია მცურავი საშუალებების შემდგომი მოდერნიზაცია და თანამშრომელთა პერმანენტული მომზადება/გადამზადება. ქვეყნის სასაზღვრო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, 2013 წელს შსს გეგმავს რადიოკავშირის სისტემის განახლებასა და სასაზღვრო სექტორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. მზარდი სამიგრაციო ნაკადების მართვის და მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება რამდენიმე სასაზღვრო-გამტარ პუნქტზე ე.წ. „ი-გეითების“ (ელექტრონული კარიბჭე) დამონტაჟება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური

შედეგების თავიდან აცილებას. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე არსებული რისკების, პრევენციისა და რეაგირების კუთხით. გარდა ამისა, საგანგებო სიტუაციების შედეგების მინიმიზაციისთვის, იკვეთება შესაბამისი ნორმატიული აქტების დახვეწის აუცილებლობა. ეს გააუმჯობესებს საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და პრევენციის კომპონენტებს. ამისთვის იგეგმება რისკის რუკების განვითარება და დახვეწა. ასევე, მოხდება ნორმატიული აქტების შესაბამისი კორექტირება. რეაგირების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სახელდება შესაბამისი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა. ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებიდან აღსანიშნავია ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვულ (ქბრბ) საფრთხეებზე ერთიანი მიდგომის არარსებობა. შესაბამისად, შსს-ს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს ქბრბ პოლიტიკის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა წარმოადგენს. ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, დაფუძნდება ქბრბ საფრთხეებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი და სამდივნო. ასევე, გაუმჯობესდება შესაბამის უწყებებთან ურთიერთქმედების მექანიზმები.

მიგრაციული პროცესების მართვა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. აღნიშნული პროცესების უკონტროლობა ნეგატიურად ისახება ქვეყნის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე. კომპეტენციის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობისა და არალეგალურ მიგრაციასთან, მათ შორის ტრეფიკინგთან ბრძოლას. იგი ასევე პასუხისმგებელია რეადმისიის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. მიგრაციული პროცესების მართვას აბრკოლებს არალეგალური მიგრანტების დაკავებისა და დეპორტაციის ქმედითი მექანიზმების არარსებობა. არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ რისკებზე არასაკმარისადაა ინფორმირებული მოსახლეობაც. ქვეყანაში არ არსებობს მიგრაციის ნაკადების მონიტორინგის ერთიანი სისტემა და რეადმისიას დაქვემდებარებულ პირთა განთავსების ცენტრი. მიგრაციის მართვის გაუმჯობესების კუთხით, შსს აქტიურად იმუშავებს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე. პრიორიტეტულ მიმართულებებს ასევე წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში შსს-ს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას და ნარკომანიას დიდი ზიანი მოაქვს საზოგადოებისთვის. იგი პირდაპირ კავშირშია დანაშაულის ზრდასთან. შემამფოთებელია ის ფაქტიც, რომ წამალდამოკიდებულების მიერ ხშირ

შემთხვევებში ხდება ნარკოტიკების მოხმარებაში სხვა პირების ჩათრევა. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. პრევენციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას. ამ მიზნით, გასატარებელ ღონისძიებებს განეკუთვნება საინფორმაციო კამპანიების წარმოება. მეტი ყურადღება დაეთმობა სამთავრობო უწყებებს შორის ეფექტურ კოორდინაციას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას. ეს ხელს შეუწყობს ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და მისგან გამოწვეული ზიანის თავიდან აცილებას. გარდა ამისა, ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესების მიზნით, დაიხვეწება ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზა.

ადამიანებით უკანონო ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. დანაშაულის სერიოზულობიდან გამომდინარე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამართალდამცავი უწყებები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. საქართველოში გამოწვევად რჩება ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადგილმდებარეობის დადგენის მექანიზმების არასრულფასოვნება. გარდა ამისა, საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე მნიშვნელოვნად აბრკოლებს ტრეფიკინგის პრევენციას. პრევენციული ზომების გაუმჯობესებისთვის, დაგეგმილია საინფორმაციო კამპანიების წარმოება. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია გამოძიების მექანიზმების დახვეწა. ასევე, მნიშვნელოვანია პარტნიორ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი, საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ოპერატიული თანამშრომლობის გაღრმავება.

ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგად, მკვეთრად შემცირდა კორუფციის დონე საჯარო სექტორის ქვედა დონეზე. მიუხედავად ამისა, ე.წ. ელიტური კორუფცია სახელმწიფოსთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს. კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტებია: კანონმდებლობის დახვეწაში მონაწილეობა; საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში პარტნიორი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება; შსს–ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროში შეიქმნა ანტიკორუფციული სააგენტო. აღნიშნულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს ევალება სამოხელეო და კორუფციული დანაშაულის გამოვლენა და აღმოფხვრა.

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. საქართველოსთვის ტერორიზმის საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ოკუპირებული ტერიტორიების

არსებობას. იქ მიმდინარე პროცესები სამართალდამცავი ორგანოების რეგულირების მიღმა რჩება. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე დიდია ასაფეთქებელი და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანზიტის ალბათობაც. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით აუცილებელია საზღვრების უსაფრთხოების განმტკიცება. კონტრტერორისტული პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს აღნიშნულ სფეროში პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით ახალი საფრთხეები წარმოშვა. ინფორმაციულ სისტემებზე მზარდი დამოკიდებულების პირობებში იზრდება კიბერდანაშაულის სფერო და მისგან გამოწვეული ზიანი. კიბერდანაშაულები აზიანებენ არა მარტო ინფორმაციულ სისტემებს, არამედ იყენებენ კიბერსივრცეს სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩასადენად. შეტევის ობიექტი შეიძლება გახდეს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილები. კიბერსაფრთხეები მომდინარეობს ცალკეული პირების, დესტრუქციული ჯგუფებისა და სახელმწიფოებისგან. 2008 წელს საქართველოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურაზე რუსეთის მიერ განხორციელებულმა კიბერშეტევების სერიამ ნათლად დაგვანახა ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა. შსს-ს მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს კიბერთავდასხმით გამოწვეულ ზიანს. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის მიზნით, აუცილებელია შსს-ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ციფრული მტკიცებულებების საექსპერტო კვლევის განმახორციელებელი დანაყოფის შექმნა და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, საზოგადოებისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას 2013 წელს დიდი ყურადღება დაეთმო. მომსახურების სააგენტო, საზოგადოებაში არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, გააგრძელებს ინფრასტრუქტურის განვითარებას, მომსახურების პროცედურების გამარტივებასა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას. მიმდინარე წელს პრიორიტეტულია მართვისა და რეგისტრაციის ეროვნული მოწოდებების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. ასევე, მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის რეგულაციების დახვეწა.

საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მომსახურების გაწევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა გადაუდებელ მოთხოვნებზე სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას. ამ მიმართულებით დაბრკოლებას წარმოადგენს საგანგებო

სიტუაციებზე რეაგირების სარეზერვო სისტემის არარსებობა და განხორციელებული ზარების ლოკაციის დაუდგენლობა. ასევე, დაბალია ერთიანი საგანგებო ნომრის „112“ არსებობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა. მოქალაქეთა მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, პრიორიტეტულია სისტემის მდგრადობის გაზრდა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შემდგომი განვითარება. დიდი ყურადღება დაეთმობა საზოგადოების ცნობიერებისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასაც.

პიროვნებისა და საკუთრების დაცვა სამინისტროს პრიორიტეტი და მომსახურების ერთ-ერთი სახეობაა. ამ საქმიანობას ახორციელებს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. მომსახურებაზე მაღალი მოთხოვნის პირობებში, საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მომსახურების დივერსიფიკაცია და ხარისხის გაუმჯობესება. ასევე, აუცილებელია დაცვის პოლიციის ცნობადობის გაზრდა და პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარება.

საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია პროფესიონალ კადრებთან. შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსონალის მომზადებასა და გადამზადებას ახორციელებს სამინისტროს აკადემია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აკადემიაში განათლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. არსებული მდგომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა. არ არსებობს პროფესიული პროგრამების არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მექანიზმი. მოკლეა კურსების ხანგრძლივობაც. ეს ნეგატიურად ისახება მსმენელთა უნარ-ჩვევების განვითარებაზე. დასახვეწია აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებიც. ამასთან ერთად, შესაქმნელია ერთიანი მონაცემთა ბაზა. ასევე, შესამუშავებელია მიღებული ცოდნის თანმიმდევრული და ობიექტური შეფასების სისტემაც. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაგეგმილი აქვს სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობის გაზრდა. ასევე, გაიზრდება პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა თეორიულ ნაწილთან მიმართებაში. შეფასების ახალი ერთიანი სისტემის შემოღებით, დაინერგება მსმენელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეფასების ობიექტური კრიტერიუმები. ამასთან ერთად, დიდი ყურადღება დაეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

საერთაშორისო თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სამინისტრო საერთაშორისო ასპარეზზე, კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ოპერატიულ და არაოპერატიულ თანამშრომლობას. ეს მოიცავს ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლას,

ერთობლივი ოპერაციების ჩატარებას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობასა და თავსებადობის მიღწევის უზრუნველყოფას. გამოცდილების გაზიარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მიზნით, სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებიდან გამომდინარე, კვლავ ძირითად პრიორიტეტად რჩება ევროკავშირთან და ნატო–სთან თანამშრომლობის გაღრმავება. მნიშვნელოვანია, თანამშრომლობის ისეთ ფორმატებში აქტიური მონაწილეობა როგორებიცაა: „აღმოსავლეთ პარტნიორობა“, „პარტნიორობა მობილურობისთვის“, ნატო–საქართველოს კომისია, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი და ა.შ.

შსს-ს რეფორმების განხორციელების პროცესში უმსხვილესი დონორია აშშ. მნიშვნელოვანია, თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება საქართველოს მიერ აღებული ძირითადი ვალდებულებების შესრულების კუთხით ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: ნარკოტიკებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება და სხვა.

შსს-ს პრიორიტეტია ორმხრივი ურთიერთობებისა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება. მიზანშეწონილია, კიდევ უფრო გააქტიურდეს ისეთი საერთაშორისო ფორმატების გამოყენება, როგორებიცაა GUAM, BSEC, SELEC და Europol. მნიშვნელოვანია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პარტნიორ სახელმწიფოებთან სამართალდაცვით და უსაფრთხოების სფეროში შეთანხმებების გაფორმების გაგრძელება.